Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-10-25 20:42

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 25 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

II ნაწილი

(საგარეო საქმეთა მინისტრი ეკატერინე ტყეშელაშვილი)

2008-10-25 20:42

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 25 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ.დავითაია.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა მობრძანებისათვის, ქალბატონო ეკა, დიდი მადლობა თქვენს მოადგილეებს. მე მსმენელებს მინდა ვუთხრა, რომ სხდომა გადაიდო იმ მიზეზების გამო, რომ იყო უშიშროების საბჭო დანიშნული პრეზიდენტის მიერ, ამიტომ ჩვენ 6 საათის მაგივრად მოგვიწია 7 საათზე სამუშაოს დაწყება. სანამ დაისმება კითხვები, ქალბატონო ეკა, მზად ხართ თუ არა თქვენ, რომ ითანამშრომლოთ კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გასცეთ შეკითხვებს პასუხი.

ე.ტყეშელაშვილი. დიახ. მე მზად ვარ, რომ სრულად ვითანამშრომლო კომისიასთან.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა ქალბატონო ეკა. იცით თქვენ, რომ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისია, რომელიც შეიქმნა სწავლობს იმ მოვლენებს, რაც მოხდა აგვისტოს თვეში, მაგრამ რეალურად სჩანს რომ აგრესია დაიწყო უფრო ადრე და ამას წინ რომ პირობები უძღოდა საბრძოლო ოპერაციებს, რომელიც დაიწყო აგვისტოს თვეში, ძალიან ბევრი კითხვები არის საზოგადოებაში, ძალიან ბევრი შეკითხვები არის იმ მიმართულებით, თუ რა ხდებოდა სახელმწიფო სტრუქტურის აპარატში ამ დროს და ჩვენ გვაინტერესებს, ვთქვათ, იქ მდგომარეობა თქვენ

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი , რა ინფორმაციას ფლობდით დიპლომატიური არხებით აგვისტომდე, თუ რა ღონისძიებების გატარება ხდებოდა საქართველოს წინააღმდეგ და აქ ბატონმა გელა ბეჟუაშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენ მას ვკითხეთ, აწვდიდა თუ არა დაზვერვის დეპარტამენტი ინფორმაციებს უწყებებს და ერთ–ერთი უწყება იყო საგარეო საქმეთა სამინისტრო და აქედან გამომდინარე ამ ინფორმაციებს, რომელსაც თქვენ ღებულობდით და აანალიზებდით, ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით მოქმედებდით თუ რაღაც სხვა დავალებები იყო. აგრეთვე ჩვენ რამოდენიმე კითხვას დავსვამთ, ქალბატონო ეკა, რომ თქვენ მერე ერთობლივად გასცეთ პასუხი, რა მითითებებს აძლევდა საგარეო საქმეთა მინისტრი ელჩებს და შემუშავებული იყო თუ არა გეგმა საომარი ქმედებების დაწყების შემთხვევაში, როგორ უნდა ემოქმედათ საქართველოს ელჩებს, როდესაც ფლობდით თქვენ ინფორმაციას სიტუაციის დაძაბვასთან დაკავშირებით. ჰქონდა თუ არა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უშუალო კონტაქტი საქართველოს ელჩთან რუსეთში. რა თქმა უნდა, საკითხი დგას მაქამდე, როცა გამოძახებული იყო ელჩი უკან, თუ რა ინფორმაციებს აწვდიდა საქართველოს ელჩი რუსეთში, ბატონი კიწმარიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ეს ეხება აგვისტოს მოვლენებამდე. იგივე შეიძლება ითქვას ყოფილ ელცებზე კიწმარიშვილამდე, თუ რა ინფორმაციებს აწვდიდა ის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და რა მუშაობა, წარმოება, ხდებოდა ამ მიმართულებით. ეგ საკითხი და დანარჩენს გავაგრძელებთ შემდგომში.

დ.ლორთქიფანიძე. დაზუსტებისთვის, თუ შეიძლება. ქალბატონო ეკა, აქვე მინდა ელჩთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში ,დაგისვათ შეკითხვა. ე.ი. ეროსი კიწმარიშვილის ელჩად დანიშვნისას, რა სტრატეგია იყო შემუშავებული ელჩის ნაყოფიერი მუშაობისთვის კონკრეტული დირექტივები ელჩისადმი და ელჩის შენიშვნები ან მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გმადლობთ.

გ.თარგამაძე. მე ვფიქრობ, რომ, ალბათ, ასევე ჩვენთვის არის საინტერესო ეს მთელი პრეისტორია კონფლიქტის, ასე ვთქვათ, და საგარეო საქმეთა სამინისტროს კონკრეტული მოქმედებები და აქტიურობები მანამდე. ეს ყველაფერი, ალბათ, ჩვენ ეს ძირითად შეკითხვაშიც გვიწერია, რომელიც წერილებშია დაფიქსირებული, რომელიც დავაგზავნეთ და ,ალბათ, ამ პერიოდზე და იქ ეწერა მარტი. მე ვფიქრობ, მხოლოდ მარტით არ უნდა შემოვიფარგლოთ, უფრო მანამდეც, ალბათ, საინტერესოა ეს ყველაფერი დინამიკაში. გმადლობთ.

ხ.გოგორიშვილი. პრინციპში, იგივე საკითხია, რაც ბატონმა გივიმ, უბრალოდ, თუ შესაძლებელია, ქალბატონო ეკა, კონკრეტული აქტივობები საგარეო საქმეთა უწყების კონფლიქტის, კონფლიქტის არა, აგრესიის დაწყებამდე პერიოდში, იმიტომ, რომ შემდგომი პერიოდი საგარეო უწყებისა და საელჩოების კონკრეტული საქმიანობა საზოგადოებისთვის არის ცნობილი. აქ საუბარი არის 7 აგვისტომდე კონკრეტულად, რა ქმედებები განახორციელა საგარეო საქმეთა უწყებამ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციისათვის და ,მათ შორის, საელჩოების აქტივობებიც ამ პერიოდში. გმადლობთ.

ა.მინაშვილი. დამაზუსტებელი კითხვა, ასევე. უფრო კონკრეტიკაში რომ შევიდეთ, ქალბატონო ეკა, რა სამშვიდობო ინიციატივები ჰქონდა საქართველოს და რა რეაგირებას ახდენდა, რა პასუხი იყო ამ ინიციატივებზე რუსეთის მხრიდან და კონკრეტულად მინდა კიდევ კითხვა დაგისვათ, დაახლოებით, ზაფხულში საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა წერილი გააგზავნა რუსეთის პრეზიდენტის სახელზე, სადაც იყო ერთ–ერთი ასეთი ინიციატივა და გახმაურდა, თუმცა დეტალები არ არის ცნობილი. იქნებ,ამ წერილზე მოგვიყვეთ და რა იყო ამ წერილზე პასუხი რუსეთის მხრიდან?

ე.ტყეშელაშვილი. პირველ რიგში, კიდევ ერთხელ მინდა ბოდიში მოგიხადოთ დაგვიანებისდა გამო, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზები იყო. მოგეხსენებათ, დღეს უსიამოვნო ფაქტს ჰქონდა, ძალიან, ადგილი, რაც ძალიან ნათლად ჯდება იმ ზოგადი ქცევის წესში, სახიფათო ქცევის წესში, რაც რუსეთის ფედერაციას, ოკუპანტ ძალას, ეხლა საქართველოში გააჩნია და განგრძობადობაა გარკვეულწილად, მისი წინარე ქმედებების. ამაზე განცხადებაც გაკეთდა დღეს უშიშროების საბჭოში პრეზიდენტის მიერ. ამიტომ, ამ მხრივ, ამ ობიექტური მიზეზების გამო კიდევ ერთხელ მინდა ბოდიში მოგიხადოთ.

რაც შეხება დასმულ კითხვებს, მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი, ჯერ ერთი, დროში შეზღუდული არ ვართ და ინტერესიდან გამომდინარე შეგვიძლია ძალიან დეტალურად ვისაუბროთ იმასთან დაკავშირებით, რაც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, რა მოხდა აგვისტოში და კონცეპტუალურად გავიაზროთ ყველაფერი ეს უკეთესად, რაც, ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს და ამ მხრივ, ეს, ბუნებრივია, კარგია, რომ ეს შესაძლებლობა გვაქვს.

რაც შეეხება ზოგადად კონფლიქტს და ამ მხრივ აბსოლუტურად სწორად იქნა აღნიშნული ის, რომ როდესაც რუსეთის აგრესიაზე საქართველოს წინააღმდეგ ვსაუბრობთ ან კონკრეტულად იმაზე, თუ რა მოხდა აგვისტოში, ამის საფუძვლები, ამის ხასიათი, ზოგადად აგრესიის ხასიათი, თუნდაც მიზნები მისი სტრატეგიული თუ ტაქტიკური თვალსაზრისით, აგვისტოთი რომ არ შემოიფარგლება, ეს დღეს არა მარტო ჩვენთვის არის ნათელი, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც. ჩვენ ძალიან დიდი დრო დაგვჭირდება

აბსოლუტურად სრულფასოვნად რომ ვილაპარაკოთ კონფლიქტზე, როგორც ესეთზე, რადგან, ჩემი აზრით, კონფლიქტის სათავეები არც 2000 წლიდან მოყოლებული, ასე ვთქვათ, 2000 წლის 4–5 წლიდან მოყოლებული ან თუნდაც 6 წლიდან მოყოლებული იღებს სათავეს. ჩვენ, ასევე, ყველას, ჩვენს თაობას და წინა თაობებსაც ძალიან კარგად გვახსოვს რა ხდებოდა 90–იან წლებში და მაშინაც რამდენად ძალიან დაგეგმილი და გააზრებული იყო ის, რაც მოხდა საქართველოში. ის, რაც მოხდა დღეს, 21–ე საუკუნეში საქართველოში რუსეთის აგრესიის სახით, არ მოხდებოდა, რომ არა ის, რასაც კონფლიქტის სათავეები ჰქვია 90–იან წლებში. დღეს თამამად შეიძლება ითქვას ის, რომ მსოფლიო თანამეგობრობისთვის ნათელი გახდა ის, რაც ქართული საზოგადოებისთვის ყოველთვის ნათელი იყო. ჩვენ არასოდეს არ გვქონია პრობლემა ქართულ–აფხაზურ, ქართულ–ოსური ეთნიკური კონფლიქტების, როგორც ესეთის. რეალური თვალსაზრისით ეს იყო ყოველთვის კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის და იყო ორი რეგიონი, ასე ვთქვათ, რომელშიც აქცენტირებული იყო კონფლიქტის მიმდინარეობა და მისი თეატრი. 90–იან წლებზე, მე ახლა ყურადღებას თვენსას არ შევაჩერებ, იმიტომ რომ მართლა ძალიან შორს წაგვიყვანს უკვე საფუძვლების ძიებაში კონფლიქტის და მაშინ რა და როგორ ხდებოდა, ესკალაციის თვალსაზრისით, ალბათ, უკვე 2005–6 წლიდან მოყოლებული ის მოვლენები, რაც საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდგომ განვითარდა, ყურადღების ღირსია. ბუნებრივია, ესეც არის ის სფერო ინფორმაციის და ანალიზის, რაც ინსტიტუციონალური თვალსაზრისით დღეს საქართველოს სახელმწიფოს მოეპოვება. მაშინ მე, პირადად ამ მოვლენებში, როგორც საგარეო უწყების წარმომადგენელი, არ ვიყავი ჩართული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანალიტიკური თვალსაზრისით, განგრძობადი თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლებას ამის შესახებ ინფორმაცია, ქრონილოგია და ანალიზი არ მოეპოვება. ის მთავარი მიზეზი, რაც იმ დროიდან მოყოლებული ესკალაციის საფუძველი გახდა და ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად დაძაბვის, შეიძლება ითქვას, რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში, იყო ის არჩევანი, რაც საქართველომ, ქართველმა ხალხმა იმ მომენტში გააკეთა. ეს იყო არჩევანი თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ, რეალური დამოუკიდებლობისკენ, დემოკრატიისკენ და რეალურად დასავლური ფასეულობების დამკვიდრებისკენ ჩვენს სახელმწიფოში. და ამ მხრივ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, დასავლური საზოგადოების, ევროპის სრულფასოვან წევრად გახდომისკენ უკვე რეალური ნაბიჯების გადადგმა. ამ მხრივ ეს იყო ის საფრთხე, რაც რუსეთისთვის დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ნათლად დასანახი და აღსაქმელი გახდა იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდა საქართველო, ქართული საზოგადოება ამ გზაზე. გზაზე, რომელიც, ბუნებრივია, მარტივი არ არის, მაგრამ ის მონდომება და ძალისხმევა, რაც ქართულმა საზოგადოებამ აჩვენა მთლიანობაში, რომ ამ გზაზე წარმატებული ყოფილიყო რუსეთის მხრიდან შეუმჩნეველი, ბუნებრივია, არ დარჩენილა. ის ნაბიჯ–ნაბიჯი წარმატება ასევე, რაც უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში, ასევე, ბუნებრივია, საფრთხედ იქნა აღთქმული რუსეთის მიერ. ასევე საფრთხედ იქნა, ბუნებრივია, აღთქმული ის, რომ საქართველოს როლი, რეალური როლი უკვე ენერგოსფეროში დამოუკიდებელ, ევროპისათვის ენერგომატარებლების დამოუკიდებლად მიწოდების და ამ მხრივ საქართველოს როლის თვალსაზრისით, ამ პროექტების რეალიზების თვალსაზრისით, საფრთხე ასევე რეალური გახდა აღთქმის თვალსაზრისით, ბუნებრივია, რუსეთისთვის და ესეც გათვლილი გეგმის ნაწილი იყო მისი მხრიდან, როგორც დღეს ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს. და დღეს აბსოლუტურად ნათლად წარმოჩინდა ასევე, დიდი გეოპოლიტიკური ამბიცია ასევე, რუსეთის, მის, როგორც დიდი იმპერიის აღდგენის თვალსაზრისით. და ამ მხრივ მისი გავლენის სფეროების ნათლად გამიჯვნის თვალსაზრისით ევროპასთან მიმართებაში. ამიტომ აგვისტოს მოვლენებმა აბსოლუტურად ნათლად დაგვანახა ყველას და ამ მხრივ, პირველ რიგში, ბუნებრივია, საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ის, რაც აქ მოხდა ეს არ იყო არც სამხრეთ–ოსეთთან ან აფხაზეთთან საქართველოს ამ ორ რეგიონთან დაკავშირებული უშუალო პრობლემა არც მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებული. უფრო უშუალო პრობლემა იყო დიდი სურათის ნაწილი, იმ დიდი გათვლის, რომელიც რუსეთის ფედერაციას, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით საკმაოდ მყარად აქვს პოლიტიკური ხედვის თვალსაზრისით ჩამოყალიბებული.

რას აკეთებდა საქართველოს ხელისუფლება მთელი ამ პერიოდის განმავლობაში? საგარეო უწყების საქმიანობა ამ მხრივ არის ძალიან მნიშვნელოვანი იქიდან გამომდინარე, რამდენად ჩანს ქვეყნის მოტივაცია საიმისოდ ცდილობდა ის თუ არა, ბუნებრივია, მშვიდობიანი გზით იმ პრობლემების დარეგულირებას, რასაც, ეგრეთწოდებული, "გაყინული კონფლიქტები" ჰქვია თუმცა მე პირადად ეს ტერმინი არ მომწონს. რამდენად არ იყო გაყინული ეს კონფლიქტები და არამართებული იყო ეს ტერმინი, ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც ძალიან კარგად დაგვანახა. მაგრამ ესეთი აზრის ნათლად გაგებისთვის, ზოგჯერ ესეთი დამკვიდრებული ტერმინებიც შეიძლება გამოვიყენოთ, თუ მისაღები იქნება ესეც. საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა ამ მხრივ მრავალსპექტრიანი იყო. ეს არ იყო მარტო საგარეო უწყების საქმიანობა, ბუნებრივია, ის იყო კონცეფციების შემუშავება და განვითარება, პირველ რიგში, თუ რა ხედვა უნდა ჰქონოდა საქართველოს ხელისუფლებას და ამ მხრივ, რა გზებით უნდა განხორციელებულიყო ის. საგარეო უწყებასთან ბმაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს იმ სპეციალურ მიმართულებას, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ახორციელებდა რეინტეგრაციის თვალსაზრისით. იმ მომენტში ეს სახელი შესაძლოა არ ერქვა უწყებას, მაგრამ რეალური არსი ყოველთვის იყო ეს, რადგან პირდაპირი კონტაქტები დამყარებულიყო არა მარტო უშუალოდ სახელმწიფო და შესაბამისად, იმ დროისათვის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებს შორის, არამედ ხალხთა შორის კავშირების გამყარების ან შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ამიტომ ეს ორი მიმართულება ერთმანეთს

ავსებდა ყოველთვის და ამ ორი მიმართულებით ყოველთვის აქტიურად ხელმძღვანელობდა და ახორციელებდა ამ მიმართულებით ნაბიჯებს საქართველოს ხელისუფლება. ჩვენ ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, რამდენად წარმატებული იყო ჩვენი ინიციატივა ეუთოს მიმართულებით, ლიუბლიანას მინისტერიალს ვგულისხმობ, როდესაც რუსეთის მიერ დათანხმებაც კი მოხდა სამშვიდობო გეგმაზე, რომელიც, რომ განხორციელებულიყო, მე ღრმად მწამს, იქნებოდა საკმაოდ წარმატებული, რადგან იგი პარალელურად გულისხმობდა ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას, რასაც უსაფრთხოების რეჟიმის რეალური მოგვარება და პარალელურ პროცესში იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება ერქვა, ისევე, როგორც ეკონომიკური პროექტების განხორციელება. სამწუხაროდ, იმ დროიდან მოყოლებული უკვე, აი ეს რუსეთის ზრახვა, რომ რეალურად ის არასდროს არ იყო დაინტერესებული ამ პრობლემების მოგვარებით, პრაქტიკაში უკვე მაშინვე გამოჩნდა. ჯერ დაეთანხმა ამ გეგმას, მაგრამ შემდგომში, საბოლოო ჯამში რუსეთის მეოხებით ეს გეგმა, შეიძლება ითქვას, დასამარდა, რადგან პრაქტიკულად რეალიზებული აღარ ყოფილა. ამ პერიოდიდან მოყოლებული არაერთხელ იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო ინიციატივები საიმისოდ, რომ როგორც პროცესი სამშვიდობო მოლაპარაკებების გაცოცხლებულიყო და რეალურად შედეგზე ორიენტირებული გამხდარიყო, ესევე კონცეფციების დონეზეც რეალური ხედვა ყოფილიყო ნათელი, თუ რას გულისხმობდა საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარების ქვეშ. სუმირებულად რომ ვთქვათ, ამაში იგულისხმებოდა: პირველი. ცივილური თანამედროვე ევროპული ძალიან ფართო ავტონომიის რეჟიმის გათვალისწინება; ფართო უფლებების მინიჭება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თვალსაზრისით ეროვნული უმცირესობებისთვის ამ კონკრეტულ რეგიონში, რომლებსაც სპეციალური პოლიტიკური სტატუსი შეიძლება ჰქონოდათ; ამ კუთხით ცენტრსა და რეგიონალურ ხელისუფლებას შორის ხელისუფლების გადანაწილების თვალსაზრისით აუცილებელი კომპონენტი უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი, სამართლებრივად განსაზღვრული და ღირსეული დაბრუნება იმ ხალხის თავიანთ საცხოვრისში, რომელსაც ისინი იძულებით ჰქონდათ დატოვებული, ყველას მოგეხსენებათ, რა პროცესების შედეგად, რასაც სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა ეთნიკური წმენდა 90–იან წლებში ფართომასშტაბიანად განხორციელებული აფხაზეთშიც და ოსეთშიც. ნაწილობრივად დღეს აგერ უკვე ახალი ეთნიკური წმენდის მეორე ტალღა განხორციელებული ფაქტიურად სამხრეთ ოსეთში, ძალიან ფართომასშტაბიანი ესევე და სერიოზული. ამიტომ ეს კომპონენტები და შემდგომში ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით რეალური მომავლის შექმნა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ამ ორივე რეგიონისთვის იყო ყოველთვის პრიორიტეტი საქართველოს ხელისუფლების და ამაზე აქცენტი კეთდებოდა ყოველთვის ნათლად. სხვადასხვა ინიციატივა შეიძლება გავიხსენოთ, ჩვენ 2007 წელში ეუთოში. რომ გავიხსენოთ, მაშინაც იყო ინიცირებული ახალი ინიციატივა საქართველოს სახელით - უშუალო მემორანდუმი ურთიერთგაგების რომ შემდგარიყო ჩვენს და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შორის საიმისოდ, რომ დაძრულიყო შედეგზე ორიენტირებული პროცესი, რომელიც უკვე წელიწადის განმავლობაში იმ დროისთვის იყო ფაქტიურად გაჩერებული. დასაწყისში რუსეთისგან პოზიტიური სიგნალები იყო, თითქოსდა, ხელი უნდა შეეწყო პროცესისთვის. 2 თვის განმავლობაში ესეთი თამაში აწარმოა და შემდგომ განაცხადა, რომ იცით, უკაცრავად, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები ამ გეგმაზე არ თანხმდებიან. კლასიკური არგუმენტი, რომელსაც ყოველთვის იყენებდა რუსეთი აფხაზეთთან მიმართებაშიც და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაშიც, არგუმენტი, რომლის სინამდვილე და საფუძვლიანობა არავის არ სჯეროდა მაშინ და არც ახლა, რადგან ყველას ძალიან კარგად მოეხსენებოდა მაშინაც და ახლაც, რომ აბსოლუტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ, რუსეთის ხელისუფლების, ორივე რეგიონის სეპარატისტული რეჟიმები.

სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში ეს კიდევ უფრო მეტი ხარისხით იყო წარმოჩენილი, როდესაც უშუალოდ რუსეთიდან მოვლენილი ჩინოვნიკებით იყო დაკომპლექტებული ფაქტიურად ე.წ. სეპარატისტული მთავრობა სხვადასხვა მიმართულებით.

აფხაზეთთან მიმართებაში მოლაპარაკებები ესევე მუდმივად წარმოებდა. არ იყო შედეგიანი, ბუნებრივია და რეალურად შედეგის მომტანი გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი, ე.წ. ჟენევის პროცესი, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა.

ყოველთვის ძალიან აქცენტირებული იყო ჩვენი მიდგომა საიმისოდ, რომ მანამ, სანამ არ შეიცვლებოდა, და ეს კიდევ და კიდევ უფრო მყარი გახდა, ჩვენი არგუმენტი, საიმისოდ, რომ დროთა განმავლობაში, სანამ არ შეიცვლებოდა უშუალოდ სამშვიდობო პროცესი ორივე რეგიონისთვის, რომელიც რეალურად შედეგზე ორიენტირებული შეიძლება ყოფილიყო, ვერასოდეს ვერ გამოიღებდა ის შედეგს, მით უფრო, როდესაც რუსეთს ექნებოდა შენარჩუნებული კვლავ აბსოლუტური მონოპოლია უსაფრთხოების თვალსაზრისით ორივე რეგიონში. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების ერთ–ერთი მთავარი არგუმენტი ყოველთვის იყო ამ პერიოდის განმავლობაში, აუცილებლად უნდა შეიცვალოს უსაფრთხოების რეჟიმი. არ შიძლება მშვიდობისმყოფელების სტატუსით სარგებლობდნენ რეალურად, დე-ფაქტო მაშინაც, ოკუპაციის განმახორციელებელი სამხედრო შენაერთები რუსეთის ფედერაციის, რომლებიც აბსოლუტურად მონოპოლიზაციას ახდენდნენ ადგილზე სიტუაციის.

2005 წელსაც, ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, იგივე არჩევნების პროცესშიც აფხაზეთში რამდენად დიდი როლი შეასრულა, პირდაპირი გაგებით, რუსეთმა პატარა მცდელობასთან მიმართებაში, როდესაც დამოუკიდებლად პროცესის წარმართვის ამბიცია გამოიჩინეს ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ამიტომ, ეს პროცესები მანამ, სანამ ესე სრულად მართვადი იყო რუსეთის მხრიდან, არგუმენტი ჩვენი ყოველთვის იყო ის, რომ რუსეთი, როგორც დაინტერესებული მხარე პრობლემის, როგორც პრობლემის შენარჩუნების თვალსაზრისით, არასოდეს არ იქნებოდა წარმატებული პროცესი, სანამ ესეთი როლი და სტატუსი რუსეთს ექნებოდა შენარჩუნებული.

სამწუხაროდ, თვითონ პროცესი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, როგორც ჩანს, ესე ადვილად პროცესების შეცვლის და რუსეთთან დაპირისპირების ამ სახით, ესეთი დიდი მზაობა, შესაძლოა, იმ მომენტში არ იყო. არსებობდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ განგრძობადი მოლაპარაკებების გზით, რბილი პროცესით, უფრო შესაძლებელი იქნებოდა რეალურად კონსტრუქციულ განწყობაზე რუსეთის დაყენება გარკვეულწილად და ამ მიმართულებით ეს არგუმენტები ყოველთვის ნათლად ჩანდა ხოლმე ჩვენი პარტნიორების მხრიდან.

რაც შეეხება, ამაზე ჩვენ, ცალკე კითხვებშიც შეიძლება იყოს მეტი დეტალები იმიტომ, რომ სხვადასხვა ეტაპზე ბევრი ინიციატივა იყო, თუმცა, სულ ბოლოზე შემიძლია უკვე, ბუნებრივია, შევჩერდე, რაც ესევე საბოლოო ინიციატივები იყო ა.წ. გაზაფხულზე გაჟღერებული აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაშიც, რომელიც ძალიან ნათლად იყო დამყარებული იმ მოსაზრებაზე, რაც მე ფაქტიურად აღვწერე. აუცილებელი იყო სამშვიდობო პროცესების შეცვლა, აუცილებელი იყო რეალური საქმეების კეთება ადგილზე იმისთვის, რომ ძვრა ყოფილიყო და პოზიტიურად გაყინვის მოშლა გარკვეულწილად არსებული ვითარების და ამ მხრივ აქცენტი ჩვენი იყო ყოველთვის ძალიან პრაგმატული: აუცილებლად უნდა გასაერთაშორისებულიყო ადგილზე უსაფრთხოების ფორმატის თვალსაზრისით ვითარება, რასაც უნდა შეექმნა წინაპირობა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა იმ ხალხის, რომელიც იძულებით იყვნენ განდევნილი საკუთარი სახლებიდან. აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეწყობა და ღიაობა ეკონომიკური ურთიერთობის და ეკონომიკის აღმავლობის. ეს ყოველთვის ძალიან კარგი წინაპირობაა შემდგომი ურთიერთობების კიდევ უკეთესად განვითარების სხვადასხვა ეთნოსის, ამ შემთხვევაში, წარმომადგენლებს შორის ადგილზე და ამ მხრივ ჩვენი ინიციატივა ძალიან საინტერესო კომპონენტს შეიცავდა აფხაზეთთან მიმართებაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნასთან დაკავშირებით გალისა და ოჩამჩირის რაიონების გაერთიანების თვალსაზრისით. და შემდგომში უკვე, ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც პროცესი ნაყოფიერი იქნებოდა, უკვე ურიერთგაგების და ურთიერთთანამშრომლობის პოზიტიურად განვითარების თვალსაზრისით, უკვე პოლიტიკური საკითხების, პოლიტიკურ საკითხებში ვგულისხმობ ხელისუფლების გადანაწილებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ამაზე უკვე საბოლოო შეთანხმების მიღწევის თვალსაზრისით. რაც ესეთი ლოგიკური აწყობილი გზა იყო იმაზე ... თავიდანვე მაინცდამაინც პოლიტიკური საკითხებით დაგვეწყო საუბარი, როდესაც არსებულ ვითარებაში, შესაძლოა, ძვრა რაიმე პოზიტიური არ ყოფილიყო. ამის ერთადერთი შემაფერხებელი წინაპირობა, რომ ეს პროცესი არ განვითარებულიყო, თუკი ვინმეს ზოგადად რეალური სურვილი ექნებოდა პრობლემის მოგვარების, ამაზე უფრო ლოგიკური გზა,- შეიძლება, ზედმეტად ამბიციურია დღეს ახლა ხელისუფლების წარმომადგენლისგან, - ძნელი წარმოსადგენია, რა გზით შეიძლებოდა სხვანაირად რთული ვითარების ადგილიდან დაძვრა. ერთადერთი წინაპირობა, წინაღობა ამისი მთავარი იყო ის, რომ რუსეთი წარმოადგენდა რეალურ ხელისშემშლელ ძალას, რომელიც აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, რომ ეს პროცესი რეალურად არ დაძრულიყო, აკეთებდა ყველაფერს იმისთვისაც კი, რომ პირდაპირი კონტაქტებიც კი არ დამყარებულიყო ჩვენსა და ადგილობრივ წარმომადგენლებს შორის, მათი მეთვალყურეობის ან მათი, ესე ვთქვათ, თანხმობის გარეშე. და თანხმობასაც ისინი ყოველთვის შეზღუდული მოცულობით და შეზღუდულ საკითხებთან მიმართებაში აძლევდნენ ხოლმე. ამიტომ ეს პროცესები, განგრძობადი თვალსაზრისით, ესეთი მოტივაცია და რეალური ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლებიდან ყოველთვის ძალიან ცალსახად იყო ხოლმე გამოვლენილი. რაც შეეხება ჩვენს, თუ რამ დეტალები კიდევ თქვენთვის საინტერესო იქნება, მე მზად ვარ კიდევ ჩავუღრმავდეთ რომელიმე კონკრეტულ ინიციატივას, იმიტომ რომ ერთიან პასუხში მოქცევით შეიძლება ყველა დეტალზე ესე გაგვიჭირდეს, გამიჭირდეს მე უფრო ყველაფრის სუმირება.

რაც შეეხება ჩვენს წერილს, აქ დასამალი არაფერი არ არის, მე, თუ თქვენი სურვილი იქნება, შემიძლია გადმოგცეთ კიდეც ასლი შემდგომში, ამ წერილში და რუსული, რუსეთის პრეზიდენტისგან მოწერილი პასუხიც კი ამ ჩვენ ინიციატივასთან დაკავშირებით. ის ინიციატივა, რაც აფხაზეთთან მიმართებაში კონცეპტუალური თვალსაზრისით პრეზიდენტმა გააჟღერა, იგულისხმება ფართო ავტონომია აფხაზეთისთვის, ვიცე–პრეზიდენტის პოსტი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, გალსა და ოჩამჩირეში დაბრუნება დევნილებისა და ლტოლვილების და პროცესის ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევა. ფაქტიურად, ამის სამშვიდობო გეგმის სახით გაწერა მოხდა ამ წერილში. ეს იყო ძალიან პრაგმატული შეთავაზება რუსეთის მხარისათვის, მცდელობა საიმისოდ, რომ კონსტრუქციული კომპრომისი მოძებნილიყო სიტუაციისთვის, რათა პირველი ნაბიჯი გადადგმულიყო პროცესის მოგვარებისკენ. ეს არ იყო გეგმა, რომელიც აბსოლუტურად მოიცავდა თავის თავში პრობლემის სრულად მოგვარებას, ეს იყო ხედვა საიმისოდ, პირველი ეტაპი როგორ უნდა დაწყებულიყო

საიმისოდ, რომ წარმატებული განგრძობის საფუძველი შექმნილიყო. ამ მხრივ ინიციატივა ეფუძნებოდა იმ წინაპირობებს, რომ თუკი არ შეიქმნებოდა ეკონომიკური წარმატების რაიმე წინაპირობა, რომელიმე კონკრეტულ რეგიონში ხალხთა ურთიერთთანაცხოვრების და წარმატებული ურთიერთობის საფუძველი ნაკლებად შეიქმნებოდა. ამიტომ შერჩეული იყო გალისა და ოჩამჩირის რაიონების გაერთიანების სახით თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა. აქ აუცილებლად ამ ზონიდან რუსეთის, როგორც ერთი ქვეყნის წარმომადგენლის, სამხედრო შენაერთების გაყვანა ამ რაიონებიდან და გადაყვანა კოდორის იქით, მდინარის ჩრდილოეთით, შემდგომში აქ აუცილებლად საერთაშორისო პოლიციური ძალების შემოყვანა, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევდნენ ადგილობრივი საპოლიციო შენაერთების შექმნას, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ როგორც ქართული, ესევე აფხაზური, აფხაზეთის წარმომადგენლები, აფხაზური საპოლიციო შენაერთების წარმომადგენლები, რათა ურთიერთთანამშრომლობის ესეთი პრეცედენტი შექმნილიყო უსაფრთხოების საკითხთან მიმართებაში. დაბრუნებულიყო აქ ხალხი უსაფრთხოდ და ღირსეულად, შექმნილიყო პრეცედენტი ამ მოდელის წარმატებულად განვითარების და შემდგომში მისი გადატანის ჩრდილოეთით. ამ კომპრომისის ერთ–ერთი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ ვთავაზობდით რუსეთს, მონაწილე ყოფილიყო ამ პოზიტიური ძვრების და კონფლიქტის მოგვარების, მშვიდობიანად მოგვარების პროცესის დასაწყისის. ჩვენ თავიდანვე ყოველთვის ვიძახოდით, ჩვენ არ გვსურდა რუსეთთან, როგორც რუსეთთან დაპირისპირება. არ გვსურდა გასაერთაშორისოება იმის ფასად, რომ მაინცდამაინც ეს სიმბოლურად რუსეთთან დაპირისპირების სახით ყოფილიყო გაკეთებული. ჩვენ მოსურნე ვიყავით, პრაგმატული პროცესი წარმართულიყო საიმისოდ, რომ რუსეთი, თუკი ის აირჩევდა კონსტრუქციულ ხედვას და მოინდომებდა პოზიტიური წვლილის შეტანას ამ პროცესში, მონაწილე ყოფილიყო ამ პროცესში და ამ მხრივ, თუნდაც, გარკვეული ფასი დაედო პოზიტიური თავისი როლისთვის მიმდინარე პროცესებში. მორალურად ჩვენ ამისთვის და პრაგმატულად, ბუნებრივია, მზად ვიყავით და შეთავაზების არსიც ამაში მდგომარეობდა. ბუნებრივია, ჩვენ ჩვენს შეთავაზებაში რუსეთს ვთხოვდით იმას, რომ მას უნდა გაეუქმებინა 16 აპრილის გადაწყვეტილება იმ მომენტისთვის, რომლითაც პირდაპირ იურიდიულ კავშირს ამყარებდა ორივე რეგიონთან, მას აუცილებლად უნდა გაეყვანა ის დამატებითი საჯარისო ფორმირებები, რომლებიც ბოლო დროს ჰყავდა შემოყვანილი და ამით გაძლიერებული ჰყავდა თავის ადგილზე სამხედრო ყოფნა და შესაბამისად, ვთავაზობდით მას თანამშრომლობას შემდგომი ეკონომიკური პროექტებისათვის ჩრდილოეთისას, რათა ნაბიჯ–ნაბიჯ ესევე მთლიანობაში ეს პროცესი განვითარებულიყო. პასუხი ამაზე იყო იმ მომენტისათვის საკმაოდ უარყოფითი რუსეთის მხრიდან და საკმაოდ მკაცრი, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წერილობით რუსეთმა აშკარად თქვა უარი იმაზე, რომ იგი არ თვლიდა შესაძლებლად იმ მომენტისათვის იძულებით გადაადგილებული პირებისა და მთლიანობაში დევნილების დაბრუნებას აფხაზეთში და ამას ნაადრევად თვლიდა. ადრე ფორმალურად მაინც ზეპირსიტყვიერად ამას, და წერილობითაც, ყოველთვის აღიარებდნენ, რომ ისინი ეთანხმებოდნენ იმ პრინციპს, რომ ხალხი უნდა დაბრუნებულიყო საკუთარ სახლებში. აქ პირდაპირ საკმაოდ ცინიკურად იყო მითითებული საიმისოდ, რომ ჯერჯერობით ამის დრო არ არის დამდგარი და ისინი არ თვლიდნენ ჩვენს ინიციატივას საიმისოდ, რომ დაბრუნება უნდა მომხდარიყო სწრაფად ამ რეგიონში, ამ ორ რაიონში მაინც ხალხის იმ კონტექსტში, რასაც ჩვენ ვგულისხმობდით. ამასაც ისინი შეუძლებლად მიიჩნევდნენ იმ პერიოდისათვის, აშკარად უარს ამბობდნენ იმაზე, რომ გაეუქმებინათ 16 აპრილის გადაწყვეტილება, რასაც ესევე ავრცელებდნენ, განაცხადეს თავისი სურვილი შეენარჩუნებინათ პირდაპირი იურიდიული კავშირები ამ რეგიონებთან, ისევე როგორც დამატებითი საჯარისო ფორმირებების გაყვანასთან დაკავშირებით პირდაპირი უარი იყო, ჩვენ როცა ჩავთვლით საჭიროდ, შეიძლება გავიყვანოთ, როდესღაც, მომავალში ეს საჯარისო ფორმირებები და ამ მხრივ, ფაქტიურად, ეს იყო საკმაოდ არაკონსტრუქციული უარყოფა იმ საკმაოდ პრაგმატული შეთავაზებისა, რაც საქართველოს ხელისუფლებას გააჩნდა იმ მომენტისთვის. საერთაშორისო პარტნიორებთან როცა ჩვენ კონსულტაციები გვქონდა, მე ვერ გავიხსენებ ვერც ერთ ჩვენს პარტნიორს ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ქალბატონი რაისის ჩათვლით, რომელიც, როდესაც ის თბილისში იყო ჩამოსული, რომელსაც უკიდურესი მოწონება არ გამოეხატოს ამ გეგმისათვის, როგორც ძალიან პრაგმატული, ძალიან კარგი საწყისი ნაბიჯისთვის, პროცესის დაძვრისთვის და ძალიან კონსტრუქციული მიდგომისთვის ამ საკითხისადმი, რომელიც ესევე კომპრომისულად რუსეთისთვისაც გარკვეულ როლს ხედავდა საიმისოდ, რომ ამ პროცესში მონაწილე ყოფილიყო პოზიტიური გაგებით. უფრო სამწუხაროდ, რუსეთმა ესეთი პოზიტიური და კონსტრუქციული ხედვა საკუთარი ქმედებებისათვის და პოლიტიკისათვის სამომავლოდ არ აირჩია იმ მომენტში. ეს რაც შეეხება თვითონ ამ წერილს და შესაბამისად პასუხს, რაც მასზე იყო გამოხატული, საინტერესო არის ამ წერილში რაც პასუხი მოვიდა ჩვენ წერილთან მიმართებაში ერთი ასპექტი, თქვენ მოგეხსენებათ როდესაც ივნისის დასაწყისში მოხდა ჩვენი პრეზიდენტისა და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა არაფორმალურ სამიტზე სანქპეტერბურგში დსთ–ს ქვეყნების, მაშინ პირველ შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტისგან იყო თვითონ გამოვლენილი ინიციატივა საიმისოდ, აი, მალე, თუნდაც ზაფხულის დასასრულამდე მომხდარიყო ორმხრივი სრულფასოვანი შეხვედრა, არა ხანმოკლე, დაუშვათ არაოფიციალური სამიტის ფარგლებში, არამედ სრულფასოვანი ორმხრივი შეხვედრა სადაც განიხილავდნენ დეტალურად უკვე რა გზები შეიძლებოდა ყოფილიყო მოძებნილი პრობლემების გადასალახავად, რაც ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც პროცესი ნაყოფიერი იქნებოდა უკვე ურთიერთგაგების და ურთიერთთანამშრომლობის პოზიტიურად განვითარების თვალსაზრისით, უკვე პოლიტიკური საკითხების, პოლიტიკურ საკითხებში ვგულისხმობ ხელისუფლების გადანაწილებას ცენტრალურ და ადგილობრივ

ხელისუფლებას შორის, ამაზე უკვე საბოლოო შეთანხმების მიღწევის თვალსაზრისით, რაც ესეთი ლოგიკური აწყობილი გზა იყო იმაზე ... თავიდანვე მაინცდამაინც პოლიტიკური საკითხებით დაგვეწყო საუბარი, როდესაც არსებულ ვითარებაში შესაძლოა, ძვრა რაიმე პოზიტიური არ ყოფილიყო. ამის ერთადერთი შემაფერხებელი წინაპირობა, რომ ეს პროცესი არ განვითარებულიყო, თუკი ვინმეს, ზოგადად, რეალური სურვილი ექნებოდა პრობლემის მოგვარების, ამაზე უფრო ლოგიკური გზა, შეიძლება ზედმეტად ამბიციურად, დღეს, ახლა, ხელისუფლების წარმომადგენლისგან, ძნელი წარმოსადგენია რა გზით შეიძლებოდა სხვანაირად რთული ვითარების ადგილიდან დაძვრა. ერთადერთი წინაპირობა, წინაღობა ამისი, მთავარი იყო ის, რომ რუსეთი წარმოადგენდა რეალურ ხელისშემშლელ ძალას, რომელიც აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, ეს პროცესი რეალურად არ დაძრულიყო, აკეთებდა ყველაფერს იმისთვისაც კი რომ პირდაპირი კონტაქტებიც კი არ დამყარებულიყო ჩვენსა და ადგილობრივ წარმომადგენლებს შორის, მათი მეთვალყურეობის ან მათი, ასე ვთქვათ, თანხმობის გარეშე და თანხმობასაც ისინი ყოველთვის შეზღუდული მოცულობით და შეზღუდულ საკითხებთან მიმართებაში აძლევდნენ ხოლმე.

ამიტომ ეს პროცესები განგრძნობადი თვალსაზრისით, ესეთი მოტივაცია და რეალური ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლებიდან, ყოველთვის ძალიან ცალსახად იყო ხოლმე გამოვლენილი. რაც შეეხება ჩვენს, თუ რამ დეტალები კიდევ თქვენთვის საინტერესო იქნება, მე მზად ვარ, კიდევ ჩავუღრმავდეთ რომელიმე კონკრეტულ ინიციატივას, იმიტომ რომ ერთიან პასუხში მოქცევით, შეიძლება ყველა დეტალზე ესე გაგვიჭირდეს, გამიჭირდეს მე უფრო ყველაფრის სუმირება.

რაც შეეხება ჩვენს წერილს, აქ დასამალი არაფერი არ არის, მე, თუ თქვენი სურვილი იქნება, შემიძლია გადმოგცეთ კიდეც ასლი შემდგომში, ამ წერილში და რუსული, რუსეთის პრეზიდენტისგან მოწერილი პასუხიც კი ამ ჩვენ ინიციატივასთან დაკავშირებით. ის ინიციატივა, რაც აფხაზეთთან მიმართებაში კონცეპტუალური თვალსაზრისით პრეზიდენტმა გააჟღერა, იგულისხმება ფართო ავტონომია აფხაზეთისთვის, ვიცე–პრეზიდენტის პოსტი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, გალსა და ოჩამჩირეში დაბრუნება დევნილებისა და ლტოლვილების და პროცესის ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცევა. ფაქტიურად ამის სამშვიდობო გეგმის სახით გაწერა მოხდა ამ წერილში. ეს იყო ძალიან პრაგმატული შეთავაზება რუსეთის მხარისათვის, მცდელობა საიმისოდ, რომ კონსტრუქციული კომპრომისი მოძებნილიყო სიტუაციისთვის, რათა პირველი ნაბიჯი გადადგმულიყო პროცესის მოგვარებისკენ. ეს არ იყო გეგმა, რომელიც აბსოლუტურად მოიცავდა თავის თავში პრობლემის სრულად მოგვარებას. ეს იყო ხედვა საიმისოდ, პირველი ეტაპი როგორ უნდა დაწყებულიყო, საიმისოდ, რომ წარმატებული განგრძობის საფუძველი შექმნილიყო. ამ მხრივ, ინიციატივა ეფუძნებოდა იმ წინა პირობებს, რომ თუკი არ შეიქმნებოდა ეკონომიკური წარმატების რაიმე წინაპირობა რომელიმე კონკრეტულ რეგიონში ხალხთა ურთიერთთანაცხოვრების და წარმატებული ურთიერთობის საფუძველი ნაკლებად შეიქმნებოდა. ამიტომ შერჩეული იყო გალისა და ოჩამჩირის რაიონების გაერთიანების სახით თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა. აქ აუცილებლად ამ ზონიდან რუსეთის, როგორც ერთი ქვეყნის წარმომადგენლის სამხედრო შენაერთების გაყვანა ამ რაიონებიდან და გადაყვანა კოდორის იქით, მდინარის ჩრდილოეთით. შემდგომში აქ აუცილებლად საერთაშორისო პოლიციური ძალების შემოყვანა, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევდნენ ადგილობრივი საპოლიციო შენაერთების შექმნას, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ როგორც ქართული, ასევე აფხაზური, აფხაზეთის წარმომადგენლები, აფხაზური საპოლიციო შენაერთების წარმომადგენლები, რათა ურთიერთთანამშრომლობის ესეთი პრეცედენტი შექმნილიყო უსაფრთხოების საკითხთან მიმართებაში. დაბრუნებულიყო აქ ხალხი უსაფრთხოდ და ღირსეულად, შქმნილიყო პრეცედენტი ამ მოდელის წარმატებულად განვითარების და შემდგომში მისი გადატანის ჩრდილოეთით.

ამ კომპრომისის ერთ–ერთი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ ვთავაზობდით რუსეთს მონაწილე ყოფილიყო ამ პოზიტიური ძვრების და კონფლიქტის მოგვარების, მშვიდობიანად მოგვარების პროცესის დასაწყისის. ჩვენ თავიდანვე ყოველთვის ვიძახოდით, ჩვენ არ გვსურდა რუსეთთან, როგორც რუსეთთან დაპირისპირება. არ გვსურდა გასაერთაშორისოება იმის ფასად, რომ მაინცდამაინც ეს სიმბოლურად რუსეთთან დაპირისპირების სახით ყოფილიყო გაკეთებული. ჩვენ მოსურნე ვიყავით პრაგმატული პროცესი წარმართულიყო საიმისოდ, რომ რუსეთი, თუკი ის აირჩევდა კონსტრუქციულ ხედვას და მოინდომებდა პოზიტიური წვლილის შეტანას ამ პროცესში, მონაწილე ყოფილიყო ამ პროცესში და ამ მხრივ, თუნდაც გარკვეული ფასი დაედო პოზიტიური, თავისი როლისთვის, მიმდინარე პროცესებში. მორალურად ჩვენ ამისთვის და პრაგმატულად, ბუნებრივია, მზად ვიყავით და შეთავაზების არსიც ამაში მდგომარეობდა.

ბუნებრივია, ჩვენ ჩვენს შეთავაზებაში რუსეთს ვთხოვდით იმას, რომ მას უნდა გაეუქმებინა 16 აპრილის გადაწყვეტილება, იმ მომენტისთვის, რომლითაც პირდაპირ იურიდიულ კავშირს ამყარებდა ორივე რეგიონთან, მას აუცილებლად უნდა გაეყვანა ის დამატებითი საჯარისო ფორმირებები, რომლებიც ბოლო დროს ჰყავდა შემოყვანილი და ამით გაძლიერებული ჰყავდა თავის ადგილზე სამხედრო ყოფნა და შესაბამისად, ვთავაზობდით მას თანამშრომლობას შემდგომი ეკონომიკური პროექტებისათვის ჩრდილოეთისას, რათა ნაბიჯ–ნაბიჯ ასევე მთლიანობაში ეს პროცესი განვითარებულიყო.

პასუხი ამაზე იყო იმ მომენტისათვის საკმაოდ უარყოფითი რუსეთის მხრიდან და საკმაოდ მკაცრი, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წერილობით რუსეთმა აშკარად თქვა უარი იმაზე, რომ იგი არ თვლიდა შესაძლებლად იმ მომენტისათვის იძულებით გადაადგილებული პირებისა და მთლანობაში დევნილების დაბრუნებას აფხაზეთში და ამას ნაადრევად თვლიდა. ადრე ფორმალურად მაინც ზეპირსიტყვიერად ამას და წერილობითაც ყოველთვის აღიარებდნენ, რომ ისინი ეთანხმებოდნენ იმ პრინციპს, რომ ხალხი უნდა დაბრუნებულიყო საკუთარ სახლებში. აქ პირდაპირ, საკმაოდ ცინიკურად იყო მითითებული საიმისოდ, რომ ჯერჯერობით ამის დრო ამ არის დამდგარი და ისინი არ თვლიდნენ ჩვენს ინიციატივას საიმისოდ, რომ დაბრუნება უნდა მომხდარიყო სწრაფად ამ რეგიონში, ამ ორ რაიონში მაინც, ხალხის იმ კონტაქტში, რასაც ჩვენ ვგულისხმობდით, ამასაც ისინი შეუძლებლად მიიჩნევდნენ იმ პერიოდისათვის, აშკარად ამბობდნენ იმაზე, რომ გაეუქმებინათ 16 აპრილის გადაწყვეტილება, რასაც ასევე ავრცელებდნენ, განაცხადეს თავისი სურვილი შეენარჩუნებინათ პირდაპირი იურიდიული კავშირები ამ რეგიონებთან, ისევე როგორც დამატებითი საჯარისო ფორმირებების გაყვანასთან დაკავშირებით, პირდაპირი უარი იყო, ჩვენ როცა ჩავთვლით საჭიროდ შეიძლება გავიყვანოთ, როდესღაც, მომავალში, ეს საჯარისო ფორმირებები. და ამ მხრივ ფაქტიურად ეს იყო საკმაოდ არაკონსტრუქციული უარყოფა იმ საკმაოდ პრაგმატული შეტავაზებისა, რაც საქართველოს ხელისუფლებას გააჩნდა იმ მომენტისთვის.

საერთაშორისო პარტნიორებთან, როცა ჩვენ კონსულტაციები გვქონდა, მე ვერ გავიხსენებ ვერც ერთ ჩვენს პარტნიორს ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ქალბატონი რაისის ჩათვლით, რომელიც, როდესაც ის თბილისში იყო ჩამოსული, რომელსაც უკიდურესი მოწონება არ გამოეხატოს ამ გეგმისათვის, როგორც ძალიან პრაგმატული, ძალიან კარგი საწყისი ნაბიჯისთვის, პროცესის დაძვრისთვის და ძალიან კონსტრუქციული მიდგომისთვის ამ საკითხისადმი, რომელიც ასევე, კომპრომისულად, რუსეთისთვისაც გარკვეულ როლს ხედავდა საიმისოდ, რომ ამ პროცესში მონაწილე ყოფილიყო პოზიტიური გაგებით. უფრო სამწუხაროდ, რუსეთმა ესეთი პოზიტიური და კონსტრუქციული ხედვა საკუთარი ქმედებებისათვის და პოლიტიკისათვის სამომავლოდ არ აირჩია იმ მომენტში.

ეს, რაც შეეხება თვითონ ამ წერილს და შესაბამისად პასუხს, რაც მასში იყო გამოხატული. საინტერესო არის ამ წერილში, რაც პასუხი მოვიდა ჩვენს წერილთან მიმართებაში. ერთი ასპექტი, თქვენ მოგეხსენებათ, როდესაც ივნისის დასაწყისში მოხდა ჩვენი პრეზიდენტისა და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა არაფორმალურ სამიტზე სანქტპეტერბურგში დსთ–ს ქვეყნების, მაშინ, პირველ შეხვედრაზე, რუსეთის პრეზიდენტისგან იყო თვითონ გამოვლენილი ინიციატივა საიმისოდ. აი, მალე, თუნდაც ზაფხულის დასასრულამდე მომხდარიყო ორმხრივი სრულფასოვანი შეხვედრა – არა ხანმოკლე, დავუშვათ, არაოფიციალური სამიტის ფარგლებში, არამედ სრულფასოვანი, ორმხრივი შეხვედრა, სადაც განიხილავდნენ დეტალურად უკვე, რა გზები შეიძლებოდა ყოფილიყო მოძებნილი პრობლემების გადასალახავად, რაც ჩვენს მიერ პოზიტიურ ნაბიჯად იქნა იმ მომენტისათვის აღქმული და მზად ვიყავით, ბუნებრივია, საფუძვლიანი დიალოგისათვის, იქნებოდა ეს ივლისი თუ აგვისტო, თუ ივნისი, ეს უკვე შეთანხმებაზე იქნებოდა დამოკიდებული. ამ წერილში უკვე იყო აშკარად გამოხატული პოზიცია რუსეთის მხრიდან საიმისოდ, რომ თუკი საქართველო თვითონ, იმ ვითარებაში, როცა რუსეთს უკვე უკიდურესად დაძაბული ჰქონდა ურთიერთობა ,იქიდან გამომდინარე, თუ რა ნაბიჯები გადადგა საჯარისო ფორმირებების შემოყვანის, პირდაპირი იურიდიული კავშირების დამყარების სახით საქართველოსთან მიმართებაში ,აქეთ საქართველოს უნდა გადაედგა პოზიტიური ნაბიჯები საიმისოდ, რომ სეპარატისტულ რეჟიმებთან გაეფორმებინა ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმება და მხოლოდ ამ შემთხვევაში რუსეთი იფიქრებდა უკვე ეს შეხვედრა ჩატარებულიყო თუ არ ჩატარებულიყო. ნუ, აქაც უკვე გამოვლინდა, ძალიან ნათლად, თუ რა გეზს ადგა, ასე ვთქვათ, რუსეთის ფედერაცია ამ მიმართულებით და რა განწყობა და დამოკიდებულება ჰქონდა საკითხისადმი.

რაც შეხება თვითონ ინფორმაციებს, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ფლობდა, დიპლომატიური არხებიდან გამომდინარე იქნება ეს თუ საკუთრივ ჩვენი უწყებებიდან, ჩვენ, ბუნებრივია, საკუთარი ინფორმაციის მოპოვების წყარო წმინდა . . . თვალსაზრისით, ბუნებრივია, არ გაგვაჩნია. ამიტომ, იმ ფორმატში, რა ფორმატშიც ხდება ინფორმაციის გაცვლა უწყებათაშორისო თვალსაზრისით, ამაზე ბატონი გელა გაცილებით უფრო დეტალურად მოგახსენებდათ და, ბუნებრივია, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მოდიოდა ეს ინფორმაცია. ასევე დიპლომატიური არხებითაც, ბუნებრივია, დიპლომატიური ღია ინფორმაციები, ბუნებრივია, მოდიოდა, თუმცა აქაც, რაც შეეხება, კონკრეტულად იმ ტიპის სცენარის აღწერას, რაც შემდგომ აგვისტოში განვითარდა, ასეთი ტიპის სცენარზე რაიმე სახის ინფორმაცია რომელიმე ჩვენს პარტნიორს და გათვლა რომ გვქონოდა, რომ ამ მასშტაბის რაიმე ღონისძიებას შეიძლება ადგილი ჰქონოდა. ასეთი რამ ჩვენი ინდიკაციის სახით იმ მომენტისათვის არ მოდიოდა.

რაც შეეხება . . .

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკა, დავაზუსტებ მაშინ, . . . (არ ისმის) რომ გადახვიდეთ. აქ საუბარი არის იმაზე, რომ თქვენ ხედავდით, რომ ხდებოდა კონფლიქტის ესკალაცია რეალურად და ის უწყებები, დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გვითხრა ჩვენ, რომ რეალურად საფრთხე რუსული შეიარაღებული ძალების შემოსვლის ძალიან დიდი იყო. იქ, ვთქვათ, დაზვერვის დეპარტამენტის მონაცემებით, სადღაც, ნოემბრის თვეში ვარაუდობდნენ ამის განხორციელებას, განხორციელდა ეს აგრესია უფრო ადრე.

მე რატომ დავსვი ეს შეკითხვა, რომ აი, თქვენ ,როდესაც ხედავდით და ფლობდით იგივე საგარეო უწყების დიპლომატიური ურთიერთობების დონეზე, რომ აგრესია, ფაქტიურად, დიდი საფრთხის ქვეშ ვიყავით. რა თქმა უნდა, ეხლა ყველა არ მოელოდა ასეთი დონის აგრესიას, რაც განხორციელდა, ამაზე არ არის საუბარი. საუბარი არის იმაზე, რომ აი, თქვენ კონკრეტულად შეიმუშავეთ თუ არა თეორიული შანსი, დავუშვათ, იმის, რომ საბრძოლო მოქმედებები ,რომ დაიწყებოდა, ეს ერთი. და, შემუშავებული იყო თუ არა გეგმა ელჩებთან დაკავშირებით, რომელ ელჩს, დავუშვათ, რომელ ქვეყანაში, როგორ უნდა ემოქმედა ამ სიტუაციაში, თუ შეიქმნებოდა ასეთი სიტუაცია. თუ იყო ეს შემუშავებული, ეს კონცეფცია?

ე.ტყეშელაშვილი. კი, ბატონო, გასაგებია. რაც შეეხება ასეთ ინფორმაციებს, ამის ანალიზი გარდა იმისა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც უწყებაშიც ხდებოდა, რამდენად ამის რისკი არსებობდა თუ არ არსებობდა, ამის ანალიზი ძალიან სრულფასოვნად ხდებოდა უკვე მთლიანობაში, როგორც მთავრობის, ასევე უშიშროების საბჭოს მიერაც. ამიტომ ამ მხრივ საგარეო საქმეთა სამინისტრო სრულად მონაწილე იყო იმ პროცესების, რაც ინფორმაციის გაანალიზების კუთხით ზოგადად სახელმწიფო უწყებათაშორისი კოორდინაციის თვალსაზრისით სახელმწიფოში უნდა ხდებოდეს. ამიტომ ეს იყო ერთობლივი მოსაზრება იმის კვალობაზე, რა პოტენციური რისკი, რა დროს შეიძლება ყოფილიყო მომავალი. ამიტომ ამ მხრივ რაიმე არაკოორდინაციას იმის კვალობაზე, რომ ზოგიერთ უწყებას, დავუშვათ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაკლებად ჰქონოდა რისკი აღქმული ან მეტად, ამ შემთხვევაში ნამდვილად არ ყოფილა.

რაც შეეხება გეგმას, რომელიც შეიძლება შემუშავებული ყოფილიყო იმ მომენტისათვის. ზოგადად კლასიკური მოდელი კომუნიკაციის ცენტრალურ აპარატს და საელჩოებს შორის, ეს ისედაც ძალიან კარგად ტრადიციულად დადგენილია სამინისტროშიც, თუმცა არსებული ვითარება 2008 წლის, ფაქტიურად გაზაფხულის დასაწყისიდან მოყოლებული თებერვლის ბოლოდან თუ არა, ობიექტურად უკვე ისეთი პირობები იყო შექმნილი, რომ აგვისტოში კი არა და უკვე აი, იმ მომენტიდან მოყოლებული ფაქტიურად საგანგებო რეჟიმში მოქმედებდა უკვე სრულად საგარეო საქმეთა სამინისტრო. აგვისტოში ინტენსივობის დონე, ეს აბსოლუტურად უკვე სხვა ხარისხის იყო, თუმცა ის დონე აქტივობის, რაც საგარეო უწყებას გააჩნდა უკვე მარტის დასაწყისიდან მოყოლებული შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე იმ დროს შეიძლება საომარი ვითარება და საგანგებო ვითარება შეარქვა. ეს იყო ძალიან ინტენსიური ურთიერთობა დედაქალაქებში, ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებში მრავალმხრივ ფორმატებში. და ეს იყო ასევე, ბუნებრივია, დედაქალაქში აქ თბილისში, აქ რეზიდენტ საელჩოებთან და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ძალიან ინტენსიური მუშაობა. ამ მუშაობის შედეგად ყოველთვის ხდებოდა რა, ერთი, მყისიერი რეაგირება მომხდარ ფაქტებთან მიმართებაში, მაგრამ მანამდეც არსებული რისკის და საფრთხის გათვალისწინების თვალსაზრისით ალერტიზაცია, როგორ იქნება, ანუ ზუსტი განგაშის კარგი გაგებით ჩვენს პარტნიორებამდე ინფორმაციის იმდაგვარად მიყვანა, რომ სრული აღქმა ყოფილიყო იმ საშიშროების, რასაც ჩვენ ვხედავდით ჩვენთან არსებული ინფორმაციის თვალსაზრისით ჩვენს პარტნიორებამდე, რათა მათაც სრულად გაანალიზებული ჰქონოდათ ის, თუ, რა პოტენციურ საფრთხეებთან შეიძლება გვქონოდა საქმე, ან რა შესაძლო პოზიტიურ შედეგებთან შეიძლებოდა გვქონოდა საქმე თუკი შესაბამისი ნაბიჯები იქნება გადადგმული, იქნებოდა გადადგმული ან ამ ორგანიზაციების და შემდგომში მათი მეშვეობით რუსეთის მიერაც თუკი შესაბამისი წნეხი მასზე ეფექტური გამოდგებოდა.ამიტომ ეს ყოველთვის იყო აი იმ ესეთი მრავალმხრივი იმით მომართული. თვითონ ელჩება რაც შეეხებათ, ბუნებრივია, ინტენსივობა გარკვეული ელჩების იყო გაცილებით უფრო მაღალი იმ ქვეყნებიდან გამომდინარე, სადაც ისინი იმყოფებიან. ამიტომ არც ერთი არამცთუ ელჩი ასეთ ქვეყანაშიც კი არამედ სხვა ქვეყანაშიც და არც ერთი ცენტრალური აპარატის წარმომადგენელიც ფაქტიურად, თავს უფლებას არასოდეს არ მისცემდა ამ პერიოდიდან მოყოლებული ერთი, 24 საათის განმავლობაში არ ყოფილიყო მიღწევადი საკომუნიკაციო საშუალებით, არ ყოფილიყო მიღწევადი საიმისოდ, რომ მას სრულად მიეღო ელექტრონული ფორმით გადაგზავნილი სწრაფადი ინფორმაცია, რომ მის საფუძველს და ინსტრუქციების შესაბამისად დედაქალაქში ემოქმედა იმ ხარისხად, რა ხარისხადაც ინსტრუქცია ექნებოდა და შესაბამისად, არც ერთი ელჩი არ იყო ისეთ ვითარებაში, რომელსაც არ ჰქონოდა კარგად დალაგებული , ასე ვთქვათ, და კარგად განვითარებული ურთიერთობები შესაბამის უწყებებთან მის პარტნიორულ უწყებებთან საიმისოდ, რომ სხვადასხვა დონის ინციდენტი იქნებოდა თუ საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა დონის წარმომადგენლებთან არ ჰქონოდა მისვლის და ინფორმაციის მიტანის შესაძლებლობა. ამიტომ ის პარტნიორული ურთიერთობები, რაც ჩვენმა ელჩებმა წარმატებულად ამ მხრივ ჩამოაყალიბეს თავის პარტნიორებთან, ძალიან დაგვეხმარა საიმისოდ, რომ ძალიან მყისიერი ყოფილიყო ჩვენი რეაგირება ყოველთვის არსებული ვითარებიდან გამომდინარე. მრავალმხრივ ფორმატებში, იქნება ეს გაერო, ეუთო ვენაში, ასევე ევროსაბჭო სტრასბურგში და ჟენევა გაეროსთან მიმართებაში, ევროკავშირი ბრიუსელი , ის

ქალაქები, ასე ვთქვათ, სადაც მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატით იყო ყოველთვის ძალიან დატვირთული მუშაობა. დატვირთულ მუშაობას ძალიან კარგი შედეგებიც მოჰყვა, რამოდენიმე შემთხვევაში, განგრძობადად მოჰყვა ის , რომ ყველას ძალიან კარგად ჰქონდა ინფორმაცია მიწოდებული ვითარების განვითარებასთან მიმართებაში და ასეთი დიდი შედეგებიც რაღაც გარკვეულწილად, რაც შეგვიძლია აღვნიშნოთ, ერთი გაეროში, ჯერ ერთი, ის, რომ უშიშროების საბჭოს ფორმატში არც ერთხელ არ მოხდა საქართველოსთვის საზიანო პოზიციის დაფიქსირება, იყო ძალიან დიდი წარმატება განგრძობადი და დღემდე ეს ასეა. თუმცა ეს არის ძალიან სერიოზული მუშაობის ნაყოფი, არამარტო ჩვენი, ჩვენი პარტნიორებისაც. ბუნებრივია, უშიშროების საბჭოს ფორმატში, 15 მაისს მიღებული რეზოლუცია, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ, იყო ძალიან დიდი წარმატება, რომელიც ძალიან ძნელად მიღწევადი იყო, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე, რომლის საფუძველზეც ჩვენ ახლა სხვა აქტივობების გატარებას ვაპირებთ უკვე გაეროს ფარგლებში. რაც შეეხება ეუთოს აპრილიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ჩვენ, ინციდენტი მოხდა შეუიარაღებელი დაზვერვითი აპარატის, ქართულად ყოველთვის მიჭირს ხოლმე, უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდებასთან მიმართებაში, ის რეაგირება, რაც მოხერხდა გაგვეკეთებინა საიმისოდ, რომ ანგარიშიც უნომიგის ნათელი ყოფილიყო იმასთან მიმართებაში, თუ საიდან მოხდა, რომელი ქვეყნიდან შემოსული საფრენი აპარატი, ამ აპარატის ჩამოგდება და რა კონოტაცია ჰქონდა ამას სამართლებრივი თვალსაზრისით. ამის დაფიქსირება და პირველად მოხდა ეუთოს ფარგლებში ე. წ. ვენის და ბუქარესტის მექანიზმების ამოქმედება, რომელიც ეუთოს არსებობის ისტორიაში არც ერთხელ არ მომხდარა სრულფასოვნად ამ მექანიზმების ამოქმედება ... კუთხით. რა ვიცი, დაზუსტება ხომ არ გნებავთ?

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკა, თქვენი აქტიურობის საკითხი ყველამ იცის და იცის, რომ ძალიან, საზოგადოება ხედავდა, თუ როგორ აქტიურად იყავით თქვენ ჩაბმული ამ მოლაპარაკებაში, ამ მიმართულებით კითხვები არ არსებობს. აქ არის, მე იმიტომ დავაზუსტე შეკითხვა, რომ აი, სტრატეგიული დაგეგმარების საკითხი, აი, ვთქვათ, თქვენი პასუხიდან მე გავიგე ასეთი რაღაცა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო, ის რეაქციას აკეთებდა კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით და ეს . . .(ხმები ადგილიდან) ხო, აქ არის საუბარი, აი, სტრატეგიული დაგეგმარების საკითხი.

რატომ ვსვამ ამ კითხვას. ამ კითხვას ვსვამ იმიტომ, რომ საზოგადოებაში და, იგივე, ყოფილმა ელჩმა რუსეთში ღიად დაწერა მედიაში და აკეთებს განცხადებებს და იმიტომ ვუსვამ ამ საკითხს ხაზს, რომ თითქოსდა ხდებოდა, მისი სიტყვებით, ხდებოდა ინფორმაციის მოწოდება და, ვთქვათ, რაღაც საკითხები და არ ხდებოდა ამის სტრატეგიული ანალიზი და ამან მიიყვანა, ნუ, შინაარსი ამის, ვთქვათ, ამაში მდგომარეობს. ამიტომ მაინტერესებს ეს მიმართულება, ვთქვათ, იგივე რუსეთის მიმართულებით, როდესაც ვხედავდით, რომ სიტუაცია იძაბებოდა, სტრატეგიული დაგეგმარება იყო თუ არა დიპლომატიურ დონეზე, ვინ ახორციელებდა, ვინ მონაწილეობდა ამაში, მონაწილეობდა თუ არა რუსეთის ელჩი, რომელიც იყო ამ პერიოდში და ის მონაცემები, რასაც საჯაროდ იძახის ელჩი ითვალისწინებდა თუ არა, თუ იყო ასეთი დაგეგმარების ჯგუფი ან, ვთქვათ, აქ ჯგუფი პირობითი სიტყვაა, საუბარი არის მინისტრი, მინისტრის მოადგილეებზე, დეპარტამენტის თავმჯდომარეებზე, რომლებიც მუშაობდნენ რუსეთის მიმართულებით?

ე.ტყეშელაშვილი. რუსეთის მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტროში სპეციალური დეპარტამენტია შექმნილი. რუსეთის დეპარტამენტი ჰქვია პირდაპირ, საკამოდ ნათლად გამოხატავს მისი სახელი მის დანიშნულებას, მაგრამ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, ინსტიტუციონალური განვითარება ნიშნავს იმას, რომ ზოგადად ინსტიტუტი იმდენად არის მოწყობილი, რომ იქ რთული ვითარება იქნება ეს, თუ ადვილი ვითარება, თუმცა არ ვიცი დიპლომატიაში ადვილი ვითარება, ნუ, ფარდობითია ყველაფერი, რამდენად მოწყობილია როგორც სტრუქტურა საიმისოდ, რომ იგი ფუნქციონალურად ყოველთვის გამართულად მუშაობს. როცა ინტენსივობა მატულობს, ის უფრო ინტენსიურად მუშაობს, მაგრამ მისი ინსტიტუციონალური სტრუქტურა არის უკვე თავისთავად სწორად აწყობილი საიმისოდ, რომ არსებულ რეალობებზე იყოს მორგებული.

თავის დროზე რუსეთის დეპარტამენტის შექმნა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, რომ ერთი ცალკე დეპარტამენტი სწორედ ამ თემით იყო დაკავებული. გარდა ამისა, სტრუქტურა მოიცავს, ბუნებრივია, სპეციალურად პოლიტიკური ანალიზის დეპარტამენტსაც, რომელიც კიდევ დამატებითი ერთეულია ანალიზისთვის და სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შიდა სტრუქტურის მიღმა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ეს არის უკვე ყველა ინფორმაციის აკუმულირება, სადაც საბოლოო სტრატეგიული დაგეგმარებაც ასევე ხდება.

რაც შეეხება ელჩის მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს. მე ძალიან მოკლე პერიოდი მქონდა, ასე ვთქვათ, თანამშრომლობის აღნიშნულ ელჩთან. ისიც, თავისთავადაც საკმაოდ ცოტა ხნის დანიშნული ელჩი იყო, 10 აპრილს მოხდა მისი დანიშვნა, თუ არ ვცდები. ამიტომ, მე პირადად ძალიან გულახდილად შემიძლია ვთქვა, ერთი, რომ ჩემში, როდესაც დავიწყე მასთან ურთიერთობა, რამდენადაც ხანმოკლე იგი არ უნდა აღმოჩენილიყო, ამ პერიოდში ჩემზე დატოვა ასეთი შთაბეჭდილება იმ მომენტისთვის. ეს იყო ადამიანი, რომელიც საკმაოდ

ახალი ჩასული იყო მიმღებ ქვეყანაში, სადაც ელჩად იყო წარგზავნილი, ჯერ კიდევ, არ იყო სრულად ორიენტირებული იმ ქვეყანაში, რომელიც მარტივი ქვეყანა ნამდვილად არ არის, არ იყო სრულად პოლიტიკურ არხებზე გასული იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც გამოცდილი ელჩი, დიდი ხნის მყოფი, დავუშვათ, და სრულად კარგად გათვითცნობიერებული უკვე ლოკალურად იქნებოდა, ისევე როგორც დიპლომატიურ არხებზე, ჩვენთვის ის სერიოზული ინფორმაციის წყარო, სამწუხაროდ, იმ მომენტისთვის, აქედან გამომდინარე, არ ყოფილა, რადგან ჩვენი სხვა ამ დეპარტამენტის...

თავმჯდომარე. დავაზუსტებ ინფორმაციის წყაროს. საელჩო იყო, ხომ მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

ე.ტყეშელაშვილი. ეს იყო განგრძობადი, ბუნებრივია.

თავმჯდომარე. აი ეს გავმიჯნოთ, იმიტომ, რომ შთაბეჭდილება იქმნება თითქოსდა ელჩი ახსენებდა პირობითად იმ პუბლიკაციებით, რაც არის და საგარეო საქმეთა სამინისტრო, ვთქვათ, იგნორირებას უკეთებდა, ამიტომ ვაზუსტებ ამას.

ე.ტყეშელაშვილი. შეიძლება ძალიან დიდი ინტენსივობით ამოიწიოს მასალები, რომლის ფარგლებშიც ძალიან ნათლად იქნება დანახული, რა ინტენსივობით აკეთებდა ინფორმაციის მოპოვებას და ანალიზს დეპარტამენტი აქ თბილისში დამოუკიდებლად, თუნდაც, ელჩისგან, რა პროპორციით წვლილი შეჰქონდა ამაში ელჩს და რაიმე სახით, რაიმე სახის იგნორირება თუ იყო მის მიერ გაწეული საქმიანობის, შესაბამისი დეპარტამენტის მხრიდან და სამინისტროს მხრიდან. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ მისი მოღვაწეობა, სამწუხაროდ, იყო საკმაოდ ხანმოკლე ამ კუთხით. მე არ დაგიმალავთ, ბატონო, ვერ გავიგე... (ხმა დარბაზიდან. არ ისმის) ხო, არ ვიცი, ნუ, ამ კუთხით ზედმეტი ის, რომ ჩემგან რომ არ გამოვიდეს იმიტომ, რომ ძაან ისეთი იყო ანუ 10 ივლისისთვის დავამატებ კიდევ ერთს, რაც ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ინდიკაცია იყო, გარკვეულწილად, რამდენად სწორად გააზრებული ჰქონდა მას თუნდაც თავისი როლი ან ის, თუ რა კონტექსტში რას აკეთებდა და რა იყო მისი დანიშნულება. ჩვენ მოგეხსენებათ, რა მწვავე ვითარებაში გამოვიწვიეთ ელჩი და რატომ. ეს იყო 10 ივლისი. ის თერთმეტშივე გამოვიწვიეთ უკვე თუ არ ვცდები, როდესაც პირველი შემთხვევა მოხდა, როდესაც გამანადგურებლები, საჰაერო გამანადგურებლები საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ რუსეთის მხრიდან, 45 წუთის განმავლობაში იფრინეს საქართველოს ტერიტორიაზე და ეს ფაქტი რუსეთმა არამცთუ დამალა ან უარყო, არამედ აშკარად აღიარა, რომ ეს გააკეთა და თურმე უნდოდა, რომ ასეთი პრევენციული როლის შესრულება გარკვეულ ინციდენტთან მიმართებაში, აბსოლუტურად საფუძველს მოკლებული, აბსოლუტურად ცინიკური დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლის ნორმებისადმი, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენობის პრინციპების უხეში დარღვევა სუვერენული სახელმწიფოსი. ამ შემთხვევაში მე პირველი პრეცედენტი აღმაშფოთებელი და ძალიან საშიში იმავდროულად და ძალიან კარგად გამოჩნდა, რამდენად საშიში იყო როგორც ინდიკაცია შემდგომში რუსეთის ეს ქმედება და ამ მომენტში სავსებით ადეკვატური იყო ჩვენი ნაბიჯი საიმისოდ, რომ ჩვენ ელჩი კონსულტაციებისთვის გამოვიწვიეთ. კონსულტაციებში გამოწვევამდეც ერთი ორი კომენტარი არცთუ ისე კორექტული იყო ელჩის, იმასთან მიმართებაში, როდესაც ჩვენთან მოგეხსენებათ. მაშინ იყო ინციდენტი, როდესაც სამხედრო პირები რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობოები შეიარაღების გადატან–გადმოტანით იყვნენ დაკავშირებული და დაკავებული იყვნენ სამეგრელოს ტერიტორიაზე და როდესაც ეს გაშუქდა და ჩვეულებრივად საზოგადოებას ინფორმაცია ამის შესახებ მიეწოდა, სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა ჩვენი ელჩისგან ჩვენი მასმედიის წარმომადგენლებმა, რომ არ იყო საჭირო თურმე ამ ფაქტის გამომზეურება. ნუ, ეს ელჩის კომპეტენციაში და არც ეთიკურ საქციელში ელჩისაში ნამდვილად არ შედის ასეთი კომენტარების გაკეთება. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, უფრო სერიოზული იყო ის, როდესაც აი, ასეთ სერიოზულ ვითარებაში გამოწვეულმა ელჩმა პირველი კომენტარი რაც გააკეთა იყო ის, რომ იგი მწუხარებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ჩვენ ჩვენი გულწრფელობით ვერ დავარწმუნეთ რუსეთის მხარე, რომ ჩვენ გულწრფელები ვიყავით სამშვიდობო ინიციატივებში. აბსოლუტურად არასერიოზული, არამარტო უსაფუძვლო, არასერიოზული, ჩემი აზრით, და უადგილო კომენტარი რუსეთში საქართველოს ელჩისგან. ამიტომ ეს რაც შემიძლია მასთან მიმართებაში კომენტარის სახით.

თავმჯდომარე. ..... რაღაცას, თქვენი პასუხიდან ჩანს, რომ, ვთქვათ, ელჩი, პირობითად, და ვთქვათ, ის დეპარტამენტი, რომელიც მუშაობდა რუსეთის მიმართულებით ერთმანეთში კოორდინაციაში საერთოდ არ იყო.

ე.ტყეშელაშვილი. კოორდინაციაში იყვნენ, მაგრამ, როგორ გითხრათ, ინფორმაცია, რაც ელჩისგან მოდიოდა ....

თავმჯდომარე. კი.

ე.ტყეშელაშვილი. .... ერთადერთი ინიციატივა იყო, რაც, რაზეც ჩვენ მყისიერი რეაგირება გავაკეთეთ, ვიწყებდით

ამ ინიციატივის ორგანიზებას. მას უნდოდა არასამთავრობო წარმომადგენლების შეხვედრის ორგანიზება მოსკოვში და უნდოდა გარკვეული წარმომადგენლების ჩვენთან ჩამოყვანა. ამიტომ ეს ინიციატივა, რომელიც მისგან წამოვიდა, ჩვენ მზად ვიყავით ამისთვის ფინანსური სახსრებიც გაგვეღო, ორგანიზებაც გაგვეკეთებინა. უბრალოდ, მას იმ მომენტისთვის აღარ დასცალდა რუსეთის მიერ განხორციელებული იმ ქმედების გამო, რისთვისაც ის გამოვიწვიეთ. ამიტომ უყურადღებოდ მისი ინფორმაცია არც ერთი არ დარჩენილა, თუმცა არ იყო ძალამოკრებილი. არ ვიცი, პოტენციაში მერე რისი პოტენცია ექნებოდა ამ კომენტარებიდან თუ ვიმსჯელებთ, არ ვიცი, რამდენად სწორად წარმართავდა თავის საქმიანობას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რაიმე ფასეული და ღირებული, იმ მომენტისათვის, ან რაიმე განსხვავებული, რაც შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება ყოფილიყო, ნამდვილად ვერ გეტყვით. ჩვენ გაცილებით უფრო ინტენსიური კავშირები გვქონდა შესაბამისი დიპლომატიური არხებით რუსეთის სამინისტროსთან პირდაპირ იმ მომენტისთვის, სამინისტროდან განხორციელებული კავშირებით სხვადასხვა დონეზე. იქნებოდა ეს მინისტრის მოადგილე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსი თუ დეპარტამენტების უფროსები. ამიტომ ეს იყო ის პირდაპირი კომუნიკაცია, რაც საკმაოდ ეფექტურად იყო იმ მომენტში ჩამოყალიბებული და შესაბამისად, რეალურ ბირთვს და ძალას ურთიერთობების, ეს წარმოადგენდა იმ მომენტისათვის.

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკა, მაშინ გავაგრძელებ შეკითხვებს, რაც არის. აი, როდესაც სიტუაცია დაიძაბა და იძაბებოდა, თქვენ ხართ უშიშროების საბჭოს წევრი, ხომ? თუ არ ვცდები.

ე.ტყეშელაშვილი. დიახ.

თავმჯდომარე. დიახ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე, როდესაც იგივე დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელმაც დღეს თქვა, რომ მან გააკეთა მოხსენება იმასთან დაკავშირებით, რომ სიტუაცია იძაბებოდა და გქონდათ დაზვერვითი ღონისძიებები ამისა და ის აწვდიდა უშიშროების საბჭოს ამ ინფორმაციას, იყო თუ არა უშიშროების საბჭოს სხდომაზე მსჯელობა ამ მიმართულებით? და თქვენ, მე არ ვითხოვ ეხლა დეტალიზებას, ასე ვთქვათ, პოზიციების უშიშროების საბჭოსი, თქვენი, იყო თუ არა თქვენი მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოზე?

ე.ტყეშელაშვილი. უშიშროების საბჭოსთან მიმართებაში ჩვენგან ძირითადად ხდებოდა მოხსენება ყოველთვის,და ეს ლოგიკურიც არის ამ უწყებიდან გამომდინარე, თუკი რამ განსხვავებულ ინფორმაციას თვითონ არ მოიპოვებს ხოლმე ეს უწყება იმ პირად წყაროებიდან, რაც ღია წყაროების ანალიზიც შეიძლება გააკეთო არის ის, თუ რამდენად ახორციელებ იმ მიმართულებებს, რაც შესაბამის ვითარებაში უნდა განახორციელო იმისთვის, რომ ქვეყნის ინტერესები უკეთესად იყოს დაცული. ამ შემთხვევაში ყოველთვის ინტენსიურად ინფორმაციის გაზიარება ხდებოდა იმ კუთხით, რას აკეთებდა უწყება საიმისოდ რომ ...

თავმჯდომარე. თქვენ მოხსენებაში.

ე.ტყეშელაშვილი. მოხსენებაში, დიახ. და ეს არამარტო მოხსენებაში, ეს წერილობითი სახითაც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ უმეტესწილად ეს აზრთა გაზიარების დროსაც ხდებოდა, იმიტომ, რომ კონკრეტულად დავალებებსაც იღებ, ბუნებრივია, უშიშროების საბჭოს და შესაბამისად, ანგარიშსაც აბარებ, რა არის კონკრეტული ნაბიჯები გატარებული ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. როგორც კი ვითარება დაიძაბა 2008 წლიდან მოყოლებული, უკვე ძალიან ცალსახად, თორემ ვითარება 2007 წლის განმავლობაში, რადგან წითელუბანი რომ ვახსენოთ მარტო, ძალიან ნათლად ჩანს, უკვე იქიდან მოყოლებული რუსეთის ქმედებები და არა მარტო ეს ინციდენტი იყო, რომელიც ნათლად წარმოაჩენს მის ზრახვებს იმ იმ მომენტისთვის. ერთ–ერთი მთავარი ამოცანა იყო ის, რომ აი ესეთი ალერტიზაციის ანუ ინფორმაციის ნათლად მიტანა მომხდარიყო ჩვენს პარტნიორებამდე, რადგანაც ის აღთქმა, რაც ჩვენ გვქონდა, რომ რუსეთისგან მოსალოდნელი იყო ისეთი სცენარი, როდესაც მას შეეძლო უკან არ დაეხია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის სამხედრო მოქმედებებისგანაც კი, მისაღებ ალტერნატივად ანუ შესაძლებელ ალტერნატივად ყოფილიყო აღქმული ჩვენი პარტნიორების მხრიდან.

იმდენად მძიმეა ის ქმედება, რაც რუსეთმა განახორციელა იმ მასშტაბით, რა მაშტაბითაც განახორციელა, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბითაც რომ ყოფილიყო სამხედრო მოქმედებების თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ჩვენი პარტნიორებისთვის იმ მომენტისთვის ძნელად დასაჯერებელი სცენარი იყო. ამიტომ როდესაც ჩვენ მოსალოდნელ კიდევ უფრო მეტ დაძაბულობაზე ვლაპარაკობდით ხოლმე და ამ მხრივ რა ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო, სცენარებს შორის ხარისხობრივი განსხვავება ყოველთვის შეიგრძნობოდა.

თავმჯდომარე. უშიშროების საჭოს სხდომაზე ამაზე მსჯელობა იყო.

ე.ტყეშელაშვილი. ბუნებრივია, იმიტომ რომ ეს, ამაზე ინფორმაციის მოწოდება ყოველთვის ხდებოდა, ეს აქტივობა დიპლომატიური თვალსაზრისით შევსებული იყო სხვა სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდანაც, რომლებსაც თავისი წვლილი ყოველთვის შეჰქონდათ საიმისოდ, რომ ეს ინფორმაცია სრულად ყოფილიყო მიტანილი. ჩვენ გვქონდა არამარტო ეს კონტაქტები და კონსულტაციები, ჩვენ ამას თან ვურთავდით კონკრეტულ გეგმებს და ხედვებს რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო, რომ თავიდან აგვეცილებინა უფრო დაძაბვა ვითარების და ამ მხრივ, სამშვიდობო პროცესების შეცვლა უცილობელი წინაპირობა იყო. თუ არ შეიცვლებოდა პროცესები, სადაც რუსეთს ექნებოდა კვლავ ეს მონოპოლიზაცია, ეს იყო პლატფორმამ, რომელსაც ის გამოიყენებდა და ჩანდა უკვე როგორ აპირებდა მის გამოყენებას და ამის შესახებ ჩვენ მუდმივ კონსულტაციებს ვაწარმოებდით და დრო სჭირდებოდა ნელ–ნელა რომ ამის აღქმა უკეთესად ყოფილიყო.

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკა, ჩვენ იმ ფორმატში გავაგრძელებთ მუშაობას, რაც ვთქვით. რამოდენიმე კითხვას დაგისვამთ ახლა. თქვენ, როგორც თქვენ ბრძანდებით უშიშროების საბჭოს წევრი, აგრეთვე ბრძანდებით საქართველოს მთავრობის წევრი. მთავრობის სხდომები ფაქტიურად არის ღია და არის საჯარო. მე ამ დღეების განმავლობაში არ მახსოვს, რომ მთავრობის სხდომა იყოს დახურული და ამ ღია სხდომებით ჩანდა, რომ მთავრობას აგრესიამდე, ვთქვათ, იმ ინფორმაციების საფუძველზე რაც გქონდათ თქვენ, რაც ჰქონდა, ვთქვათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაზვერვის დეპარტამენტს არ ჩაუტარებია მთავრობის სხდომა ამ საკითხთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, რატომ არ ჩატარდა ის მთავრობის სხდომა ამ საკითხთან დაკავშირებით?

და მეორე. დავუშვათ, რატომ არ დასვით, ანდა შეიძლება თქვენ დასვით საკითხი მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, აი, ეს, დასვით თუ არ დასვით საკითხი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ყოფილიყო მოსმენა მთავრობის სხდომაზე? იმიტომ, რომ რეალურად ჩანდა, რომ სიტუაცია ძალიან იძაბება ამ მიმართულებით.

და კიდევ ერთი კითხვა. ფაქტიურად დაზვერვის დეპარტამენტთან საუბრის პერიოდში ჩვენ გავიგეთ, რომ იყო მუშა ჯგუფები, უწყებრივი მუშა ჯგუფები, რომლებიც მუშაობდნენ რელურად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან, ცვლილებასთან დაკავშირებით. ჩვენ გავიგეთ, რომ ეს არ მოესწრო. ვთქვათ, რატომ არ იყო, თქვენი აზრით, მთავრობის სხდომაზე გადახედილი ან რატომ არ დადგა ეს საკითხი, როდესაც ღიად ჩანდა ის სიტუაციის დაძაბვა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის გადასინჯვასთან დაკავშირებით ან შუამდგომლობა რატომ არ წავიდა, ეს უშიშროების საბჭოს კომპეტენციაა, რა თქმა უნდა, მაგრამ მთავრობის ინიციატივაა ამ მიმართულებით? თქვენი აზრი მაინტერესებს.

ლ.ვეფხვაძე. მე მინდა განვაგრძო თემა. მას შემდეგ რაც 4–ში, 5–ში დაიწყო ესკალაცია, ასე ვთქვათ, პირველი ნიშნები როგორც კი გაჩნდა, საინტერესო იქნება მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამ დღეებში, 6–ში, 7–ის დღის განმავლობაში. თქვენ უშუალოდ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს, ვისთან ჰქონდა საუბრები ანუ საუბარია სხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებთან და ა.შ. ანუ საუბარი პრევენციის თვალსაზრისით, რომ იწყება რაღაცა კონფლიქტი და თქვენი ჩარევა არის აუცილებელი.

მეორე. უკვე კონფლიქტის დაწყების შემდეგ თქვენ გახსოვთ ბუშის პირველი განცხადება, რომელიც იყო საკმაოდ სუსტი ჩვენთან მიმართებაში. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ორი–სამი დღე იყო დიპლომატიური გარკვეული ვაკუუმი, ეს შეიძლება თუ არა შეფასდეს დიპლომატიურ ვაკუუმად ანუ არავითარი რეაქცია საერთაშორისო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ და რითი იყო ეს გამოწვეული? მათ შორის, სხვა ქვეყნებსაც.

მესამე კითხვა. რომელიც თქვენ, თემა, რომელიც თქვენ ახსენეთ, ეს არის ქალბატონი რაისის ვიზიტი თბილისში. უცხოურ მედიაში ძალიან ხშირად არის აი, ამ შეხვედრის ხსენება იმ კონტექსტით, რომ სწორედ ამ შეხვედრაზე მოხდა რაღაცა გაფრთხილება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მხრიდან. იქნებ გვითხრათ ზუსტად რაზე იყო ამ შეხვედრაზე საუბარი. იყო თუ არა რაიმე გაფრთხილება ან მეორე, ქართული მხრიდან რა ინფორმაცია იყო მიწოდებული ქალბატონ რაისის მიმართ. დიდი მადლობა.

ხ.გოგორიშვილი. ქალბატონო ეკა. თქვენ ბრძანეთ, რომ ელჩი გამოწვეული იქნა 11 ივლისს. მე, უბრალოდ, თარიღი არ მახსოვდა. აქედან გამომდინარე, ალბათ, 11 ივლისიდან 7 აგვისტოს პერიოდში თქვენ უწყებას და პირადად თქვენ, გიხდებოდათ უშუალო კავშირი ისევე, როგორც მანამ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. მე მაინტერესებს, აი, კონკრეტული საკითხები, რომელიც და რა ინტენსივობით ხდებოდა ეს ურთიერთობა უშუალოდ თქვენ კოლეგასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. როდის გქონდათ ბოლო საუბარი 7 აგვისტომდე? 7 აგვისტოს რაც შეეხება, კონფლიქტი, არა, ინტერვენციის დაწყებამდე. მეც მინდოდა იგივე მეკითხა, ბატონმა ლევანმაც, 7 აგვისტოს, უშუალოდ, ჩვენ ამ შეკითხვას, მე

მგონი ყველას, ბატონ ... და ყველას დავუსვამთ. თქვენი კონკრეტული ქმედებები 7 აგვისტოს განმავლობაში.

და კიდევ ერთი შეკითხვა. ბოლო პერიოდში ხომ არ ყოფილა, და იქნებ ჩვენთვის არ არის ცნობილი, რაიმე მცდელობა თუნდაც არა თქვენ, არამედ თქვენი სამინისტროს თანამშრომლების დონეზე, პირდაპირი კავშირებისა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. გმადლობთ.

ა.მინაშვილი. ქალბატონო ეკა. რამოდენიმე კითხვას დავსვამ. რამოდენიმე კითხვა, რომელიც საკმაოდ აქტიურად მუსირებს საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

პირველი. ეს შეიძლება იყოს ბატონი ლევანის კითხვის დამაზუსტებელი. არის საუბარი იმასთან დაკავშირებით და ბატონმა გელამაც თქვა, რომ რეგულარული არმია საქართველოში შემოვიდა 7–ში დილით და რატომ არ გაკეთდა საჯარო განცხადება ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, გარდა იმისა, რომ ჰქონდა თუ არა კონტაქტი უცხოელ პარტნიორებთან, მოხდა თუ არა რაიმე სახის განცხადების გაკეთება და ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის.

მეორე. გვაფრთხილებდნენ თუ არა ჩვენი პარტნიორები, უცხოელი პარტნიორები, შესაძლო პროვოკაციაზე და გვთხოვდნენ თუ არა, რომ არ ჩავრთულიყავით ამ პროვოკაციაში. აქ იყო საუბარი, მაგალითად, ამერიკელების მხრიდან, საკმაოდ აქტიურად მიდის ამაზე საუბარი საზოგადოებაში.

და ერთი საინტერესო საკითხი. ბუნებრივია, თქვენ ახსენეთ, რომ მუდმივად საქმის კურსში აყენებდით ჩვენს უცხოელ პარტნიორებს მიმდინარე მოვლენების შესახებ. მათაც ესმოდათ, რომ რუსეთის აგრესიული ნაბიჯები, თუმცა ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე სახის წითელი ხაზები? რა შემთხვევაში ისინი აღარ შეურიგდებოდნენ რუსეთის ქმედებებს და ჩათვლიდნენ მათ სახიფათოდ, მათი უსაფრთხოებისათვის, ასევე ჩვენი უსაფრთხოებისათვის? იყო თუ არა, აი, ამ წითელ ხაზზე საუბარი ჩვენს პარტნიორებთან? დიდი მადლობა.

გ.თარგამაძე. მეც ბოლომდე დავაზუსტებ მაინც ამ კითხვებს. იყო თუ არა ჩვენი პარტნიორებისგან როდისმე საუბარი აი, ამ გაფრთხილებებში თუ არსებობდა იმ მასშტაბის ინტერვენციაზე, როგორც საფრთხეზე, რომელიც საბოლოო ჯამში განხორციელდა. აი, ესეთი მასშტაბის მოლოდინი იყო თუ არა რომელმე ჩვენ პარტნიორებთან. გმადლობთ.

ე.ტყეშელაშვილი. მთავრობის მუშაობას რაც შეეხება .... მთავრობის სხდომებს, მე ეხლა ვცდილობ მე თვითონ გავიხსენო იმ მომენტში დინამიკა როგორი იყო. რაღაცა დოზით უკვე შთაბეჭდილებაც გაქვს ხოლმე იმდენად ინტენსიური იყო 24 – საათიანი რეჟიმი, ფაქტიურად, იმ კვირების განმავლობაში, ერთ დიდ თარიღადაც გეჩვენება ხოლმე ზოგჯერ ადამიანს, რომ იხსენებ იმ პერიოდს. ამიტომ ზუსტად გახსენება ეხლა ნამდვილად მიჭირს, დინამიკა მთავრობის სხდომების ჩატარების როგორი იყო, მაგრამ, პრაქტიკულად, რომ შევხედოთ, ჩვენ გვქონდა როგორი ვითარება. ძალიან სწრაფად, დაძაბული ვითარება, რომელიც გადაიზარდა სრულმასშტაბიან ინტერვენციაში საქართველოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ეს ყველაფერი იმ ვითარებაში, როდესაც იგივე მთავრობის წევრების დიდი ნაწილი არის უშიშროების საბჭოს წევრი, რომელიც უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმარებაში სრულად არის ჩართული. და იმ ვითარებაში, როდესაც ეკონომიკური გუნდი ძალიან კოორდინირებულად და მე ვიტყოდი გმირულად მუშაობდა მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ძალიან დიდი საფრთხეები ჰქონდა ქართულ ეკონომიკასაც და იმას, რომ საქართველოში საზოგადოების ყოფითი საგნებით თუნდაც მომარაგების და არსებობის თვალსაზრისით პრობლემები შექმნილიყო იმ კონკრეტულ ვითარებაში, მათ უზრუნველყვეს ის, რომ ჩავარდნა არსად ამ კუთხით არ ყოფილა. გადაკეტილი გზების და გადაკეტილი მთავარი შემაერთებელი ძარღვის, ასე ვთქვათ, თუ ვენის, დასავლეთ მაგისტრალის დასავლეთ და აღმოსავლეთს შორის გაჩერებული აეროპორტის და ესეთი უკიდურესად შეზღუდული ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის საშუალების თვალსაზრისით, ეს ვითარება იყო საომარი ვითარება, გარკვეულწილად, მანამდე წინავე პერიოდშიც, როდესაც საქმე კეთდებოდა ადგილზე კოორდინირებულად და ძალიან მობილურად, როგორ გითხრათ. ამიტომ ჩვენ იმ მომენტში, აბსოლუტურად ღიად რომ გითხრათ, მხოლოდ აი, ესეთი კონცეფციის დამუშავების ...

.... მთავრობის სხდომა არ იყო იმიტომ ვლაპარაკობ, იმიტომ გავუსვი ამას ხაზი. მეტი არაფერი.

ე.ტყეშელაშვილი. ხო. ამიტომ ეს პარალელურად იყო ესე ორგანიზებული, კოორდინირებული მუშაობა ორ ფორმატს შორის: უშიშროების საბჭოს ფორმატს შორის და პრემიერთან ფაქტიურად ეკონომიკური გუნდის, ასევე 24 – საათიანი მუშაობით კოორდინირებულად აბსოლუტურად. ფინანსური სისტემა, ისევე, როგორც ეკონომიკური სისტემა მთლიანობაში, ინფრასტრუქტურა და ენერგეტიკა. ის, რომ აქ არც ერთი ჩავარდნა არ ყოფილიყო ამ ხალხის გმირული, კოორდინირებული მუშაობა რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად გამორიცხული

ფაქტორი იქნებოდა. ამიტომ შესაძლოა ტექნიკური თვალსაზრისით მთავრობის სხდომა, როგორც ესეთი, არ ყოფილა. მე მახსენდება რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ღამის 3 საათზე და 4 საათზე საომარ ვითარებაში ბატონ ლადოსთან სრული შემადგენლობით მთავრობა შეკრებილვართ და იქვე გაგვივლია ოპერატიული საჭიროებები და ყველა, ვინ რას ვაკეთებდით, და როგორ გადანაწილებულიყო ისევე, როგორც ჯანდაცვის სფერო, – და ეს გამომრჩა და დაუმსახურებლად, რომ გამომრჩა ჯანდაცვის სფერო და ჩვენი იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე უწყება ასევე– ამიტომ, ეს რეალობაში ჩავარდა კოორდინაციის თვალსაზრისით, არც ერთ მომენტში არ ყოფილა, თუმცა, შესაძლოა ფორმალური თვალსაზრისით მოწვეული მთავრობის სხდომები ასეთი, კანცელარიაში მე-12 სართულზე, არ ჩატარებულიყო.

ქალბატონო ეკა, მე ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ საზოგადოებიდან კითხვები, რომელიც მოგვდის, იგივე ....

ე.ტყეშელაშვილი. არა, მე მესმის, ...

აქ საუბარია არა იმაზე, ვთქვათ, როგორ მუშაობდა გუნდი, აქ საუბარი არის სამართლებრივ ფორმაზე, იმიტომ, რომ მთავრობის იგივე ვთქვათ, უშიშროების საბჭოს სხდომა, ვთქვათ, დღეს დაიძახა მდგომარეობა, და ჩატარდა, პირობითად ვიძახი, მთავრობის მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ მიიღოს რაღაც დადგენილებები, პირობითად, სიტყვაზე, ხომ, და იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რა მდგომარეობაც იძახებოდა სახელმწიფოში. ეხლა ზოგი ექსპერტი, რომელიც გამოხატავს თავის აზრს ამასთან დაკავშირებით, საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფო სტრუქტურების გარკვეულ საკითხებში ჩავარდნა იყო და ეს იყო არაკოორდინირებული მოქმედებების გამო. ამიტომ, დავსვი მე ეხლა საკითხი მთავრობასთან მიმართებაში, რომ ყველა კითხვა, რომელიც, ვთქვათ, ისმება, ეს არ არის მარტო ჩვენი კითხვები, და მე აი, ვთქვათ, ის, რომელიც მოვიდა და მოდის, ვცდილობ, რომ ყველანაირად მაქსიმალურად მოვაქციო ერთ კითხვაში ეს ყველაფერი. აი ამიტომ გავუსვი ამას ხაზი, თორემ ის, რომ, ვთქვათ, გარკვეული მუშაობები მიმდინარეობდა, ეს სხვა საკითხია. საუბარი არის აი იმ იურიდიულ ფორმაზე, რასაც ჰქვია მთავრობის სხდომის ჩატარებაზე მსჯელობა, იმიტომ, რომ რეალურად ჩვენ ვატყობთ იმას, რომ იგივე დღევანდელი მოსმენის შემდგომ, რომ სიტუაციას მართლაც მთავრობა ფლობდა, მთავრობის წევრები, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, და, ვთქვათ, მთავრობის წევრი არ არის საზღვრის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მაგრამ, რეალურად ფლობდა ინფორმაციას, რომ სიტუაცია იძაბებოდა, და ამისთვის საჭირო იყო ...მიდგომები, აი ამაზეა ხაზგასმა. ამიტომ იყო ეს კითხვა დასმული.

ე.ტყეშელაშვილი. არა, მე მადლობას მოგახსენებთ შეკითხვისთვის, ეს არის ის თემა, რამდენადაც საზოგადოებას რაც აინტერესებს ის და თქვენც რაც გაინტერესებთ ამაზეა, სწორედ იმიტომაც ვართ აქ, რომ ვისაუბროთ. მე ზუსტად ამ კუთხით იმიტომ ვხედავ ამას, ალბათ, რამდენადაც ძალიან ნათლად მახსოვს, თვალნათლივ, ის საჭიროებები, რაც იყო მაშინ ადგილზე და რა კეთდებოდა იმისთვის, რომ საჭიროებებიდან გამომდინარე ადეკვატური ყოფილიყო ქმედება მთავრობის თითოეული წევრის და ერთიანობაში მთავრობის. შესაძლოა, ასწლეულობით გამყარებული ბიუროკრატიულ სოციალურად განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებში გარკვეულწილად რაღაც ბიუროკრატიული მექანიზმები, ცუდად არ მოვიხსენიებ მე არასოდეს, სხვათა შორის, ბიუროკრატიას, როგორც ცნებას, ამ კუთხით შესაძლოა სხვაგვარად ყოფილიყო ჩამოყალიბებული, მაგრამ პრიორიტეტი ჩვენთვის რაც იყო, დღესაც იგივეა – ჩვენი საზოგადოების ინტერესები, სასიცოცხლო ინტერესები და არამარტო სასიცოცხლო ინტერესები, სრულად უნდა ყოფილიყო დაცული. და ამ მხრივ იყო აბსოლუტურად მოქნილი და მობილური ქმედება კოორდინირებული, იმიტომ, რომ კოორდინაციის გარეშე ცალ-ცალკე უწყება ვერასოდეს ვერ გააკეთებდა იმას, რაც რეალურად გაკეთდა საიმისოდ, რომ არც ერთ ამ სფეროში, რაც მე დავასახელე, ჩავარდნა არ ყოფილიყო. ამიტომ, საქმით რეალურად შემიძლია თამამად ვთქვა, და ჩემი დამოწმება ამ მხრივ მოვიყვანო, რაც შემდგომში სხვა მთავრობის წევრებისგან ინფორმაციაც, დარწმუნებული ვარ, მსგავსი მიმართულების იქნება, რამდენად ეს მობილიზება და კოორდინაცია რეალურად საქმით იყო ძალიან ნათლად გამოხატული და სფეროების მხრივ რაიმე ჩავარდნას ამ კუთხით ადგილი არ ჰქონია. თუმცა, შემდგომში, ღმერთმა არ ჰქნას, როდესმე კიდევ მოგვიწია მსგავს სიტუაციებში გავლა, შესაძლოა გარკვეული, არ ვიცი, დამატებითი გაუმჯობესება ამ კუთხიდან ხედვა გამხდარიყო საჭირო და შესაბამისად, ესეთი რამე კიდევ კორექტივები იყოს შეტანილი, თუმცა, რაც მთავარია, ის, რომ ზრუნვა იყო ზუსტად ხალხზე და ჩვენს საზოგადოებაზე, ეს იყო ამოსავალი წერტილი და პრიორიტეტი, რომ ამ მხრივ ეფექტურობის თვალსაზრისით რაიმე სახის ჩავარდნა არ ყოფილიყო.

რაც შეეხება თვითონ ვითარების ესკალაციას, საინტერესო დინამიკა იყო იმ კუთხით, რომ აგვისტოს დასაწყისიდან სხვა ტიპის ესკალაცია იყო იმ კუთხით, რომ აღარ იყო სპონტანური, იყო განგრძნობადი ესკალაცია, უკვე ფაქტიურად ჩვენი სოფლები, ჩვენი როგორი, ის სოფლები, რომლებზეც ცენტრალური ხელისუფლების დე–ფაქტო იურისდიქციაც ვრცელდებოდა და ამ მხრივ გამოირჩეოდა წინარე პროვოკაციებისგან, შეიძლება ითქვას, თორემ მთელი ივლისი საკმაოდ უკვე დაძაბული იყო. ამიტომ ის მუშაობა ინტესივობით, რაც ჩართულობას გამოიწვევდა საერთაშორისო თანამეგობრობის ამ ვითარებაში, უკვე მაშინაც იყო მორგებული, თუმცა, აქ არ უნდა დაგვავიწყდეს აფხაზეთთან მიმართებაში არსებული ვითარებაც, ის გააქტიურება საერთაშორისო თანამეგობრობის, რაც სწორედ იმ მიმართულებით იყო მიმართული,

რისთვისაც ჩვენ ვიღვწოდით გასაერთაშორისებისკენ ამ პროცესების და ეგრეთ
წოდებული შტაინმაიერის შემოთავაზება თუ გეგმა, რაც გინდათ დაარქვით. წესით, ეს გეგმა არ იყო, ეს იყო
წინადადებები, რომელსაც შესაძლოა შემდგომში გეგმის სახე მიეღო, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ის
აქტივობა, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ამ მიზნისკენ უკვე მოიაზრებოდა, ის
მიმართულება, რაც ეუთოს თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელის მიერ იყო გაჟღერებული,
რომ სამხრეთ ოსეთთან მიმართებაშიც უკვე უნდა დაგვეწყო კვლევა, რა უნდა ყოფილიყო ახალი ფორმატები,
რომელსაც რეალურად შედეგი შეიძლება მოეტანა, ნათელს ხდიდა იმას, რომ ამ პროცესს შესაძლებლობა
ჰქონოდა განგრძობადობის. სრული მობილიზაცია იყო საერთაშორისო თანამეგობრობის იმ აზრის გარშემო,
რომ ცვლილების გარეშე პოზიტივი ვერ შეიქმნებოდა ამ რეგიონებში, ამ მხრივ, გასაერთაშორისოების რეალური
ძალიან კარგი წინაპირობა არსებობდა და ჩართულობის. მანამდე მე შემიძლია გავიხსენო,
ევროკავშირის მზაობა, ისე, რომ პირდაპირ ჩართული ყოფილიყო რამენაირად ამ ვითარებაში, სადაც გაერო
და ეუთო უკვე ჩართული იყო ამ ვითარებებებში, არასოდეს არ ყოფილა გამოხატული და, მით
უფრო, ლიდერობა გერმანიის, როგორც ქვეყნის, წინარე პერიოდებში ნამდვილად არ შეიგრძნობოდა. მე მეტსაც
გეტყვით, ჩვენ როდესაც ვითარება უკიდურესად დაიძაბა, რუსეთიდან, ფაქტიურად, მარტიდან
მოყოლებული, როდესაც უკვე რეალურად რუსეთი გამოვიდა ემბარგოს სისტემიდან, რომელიც დაწესებული
იყო აფხაზეთთან მიმართებაში, რომლის მთავარი არსი იყო ის, რომ სამხედრო შეიარაღების მიწოდება
და სამხედრო დახმარება არ უნდა განხორციელებულიყო ამ რეგიონისათვის, დსთ–ს მიერ დაწესებული, აქედან
მოყოლებული უკვე, ეს ჯაჭვური რეაქცია რუსეთის მხრიდან უკვე შეუქცევადი ხასიათის გახდა. ამას მოჰყვა
წერილი პუტინის **შერამორგიანების** მიმართ, რომ ის რეალური ქმედებებით დაეხმარებოდა მას. მერე მოჰყვა
უკვე, ბუნებრივია, უკვე 16 აპრილის, ძალიან საშიში და მნიშვნელოვანი ამ კუთხით ბრძანება, რომლითაც
პირდაპირ .... კავშირებს ამყარებდა ამ რეგიონებთან. იყო წერილი იუსტიციის სამინისტროში, ჩვენი
იუსტიციის სამინისტროსადმი, რომ პირდაპირ კავშირებს ამყარებდა მათთან. მერე იყო
უკვე საჯარისო ფორმირებების შემოყვანა შესაბამისი ტექნიკით, რომელიც იყო სადესანტო ჯარების და
შესაბამისად, მერე უკვე ამას მოჰყვა კიდევ უფრო საშიში ტენდენცია,
რომელსაც ერქვა თავდაცვის სამინისტროს უშუალოდ, ესე იგი, შენაერთების შემოყვანა,
რომელიც მითითებასაც კი არ ახდენდა იმაზე, რომ ის იყო სამშვიდობო ძალების შენაერთი. ეს სარკინიგზო
ჯარებს ვგულისხმობ იმ სპეციფიკური მნიშვნელობით, რითაც ისინი შემოიყვანეს. ეს ყველაფერი, რაც მე ეხლა
დავასახელე, იყო სწორედ ის წითელი ხაზები, რასაც, ჩვენი პარტნიორები, ძალიან ხშირად
მანამდე გვეუბნებოდნენ ხოლმე, აი რუსეთი ამას თუ გააკეთებდა, ეს წითელი ხაზია და რუსეთი ამას არ
გააკეთებსო. და ამიტომ, ჩვენ როდესაც ხშირად ვლაპარაკობდით, რომ აი რუსეთი აჩენს ტენდენციას, რომ ამ
გზით მიდის და ძაბავს ვითარებას და შეიძლება ეს გააკეთოს ზუსტად, ეს ქმედებები – პირდაპირი კავშირის
დამყარება ამ რეგიონებთან, საჯარისო ანუ სამხედრო შენაერთების უფრო დიდი კონცენტრაცია ამ ადგილებზე
და შესაბამისად უკვე იმ ვითარების იმდაგვარად დაძაბვა, რომ უკვე ან კონფრონტაცია გარდაუვალი
ყოფილიყო ან ფაქტიურად თვალის დახუჭვა იმაზე, რომ რეალურად აღიარებას და ანექსიას ახდენდა ამ
რეგიონების რუსეთი. ამ ვითარებაზე როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით მანამ, სანამ რეალურად ამ ნაბიჯებს
რუსეთი გადადგამდა, ყოველთვის ესეთი ნაბიჯები იყო ხოლმე წითელ ხაზებად აღქმული. თითოეული
წითელი ხაზის გადადგმის მერე მაინც იმედი იყო ხოლმე, რომ, თითქოს, რუსეთი უფრო
კონსტრუქციული ხედვისკენ შემოტრიალდებოდა. ამიტომ იმ საკითხს, რომ დავუბრუნდეთ, რამდენად
რუსეთის მიერ იმ მასშტაბის ქმედებაზე, რაც მან განახორციელა სამხედრო ინტერვენციის იმ მასშტაბის
სახით, რაც გააკეთა აგვისტოში, როდესმე იყო თუ არა ლაპარაკი უცხო პარტნიორებთან, არამცთუ ამ
მასშტაბზე, ზოგადად პირდაპირი სახით სამხედრო ინტერვენციაზეც, საქართველოში რუსეთის
მხრიდან მაინც დაუჯერებელ ფაქტად აღვიქვამდით ხოლმე, ყოველ
შემთხვევაში, დიპლომატიური წარმომადგენლები. შესაძლოა, სხვა სამსახურებს ცოტა უფრო ღია სხვა
ინფორმაციები ჰქონოდათ, თუმცა, დიპლომატიური არხებით დიპლომატიური წარმომადგენლები
ამას დასაშვებ სცენარად არასოდეს არ აღიქვამდნენ. ითვლებოდა, რომ რუსეთის გასაერთაშორისოება იყო
აუცილებელი, რადგან რუსეთი განგრძობადად შეეცდებოდა სიტუაციით მანიპულირებას საიმისოდ,
რომ გაერთულებინა ან შეუძლებელი გაეხადა ჩვენი ნატოში გაწევრიანება, წარმატება
ზოგადად ევროინტეგრაციის თვალსაზრისით. თუმცა, ასეთ ნაბიჯს, რომ ესეთი წითელი ხაზი, ფუნდამენტური
წითელი ხაზი გადმოეკვეთა, გარკვეულწილად, და ის სამხედრო ინტერვენცია განეხორციელებინა, ამას
წარმოუდგენლად თვლიდნენ მაინც ჩვენი დასავლელი პარტნიორები. ამიტომ, შესაბამისად, გაფრთხილებები
იქნება ეს თუ წინასწარი კონსულტაციები, რამდენად თავშეკავებულად უნდა გვემოქმედა ჩვენ იმ
პროვოკაციებზე, რომელსაც რუსეთი განაგრძობდა და წლების განმავლობაში, სხვათა შორის, ახორციელებდა,
ესეთი ტიპის სცენარი არასოდეს არ იყო მოაზრებული. ამიტომ გაფრთხილების შინაარსი ვერ იქნებოდა ისეთი
რუსეთის პირდაპირ ფართომასშტაბიან სამხედრო ინტერვენციაზე, რომელსაც მიზნად ექნება საქართველოს
სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის დამხობა, არაფერი არ გააკეთოთ და ნუ წამოეგებით ამას, ესეთი
რამ არ ყოფილა თავისი შინაარსით. ყოველთვის გააზრება იყო გაფრთხილებასთან მიმართებაში ის, რომ
რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები იქნებოდა პროვოკაციული ხასიათის, ვითარების განგრძობა და
დაძაბვისკენ მიმართული, პატარა ინციდენტებისკენ მიმართული, რომელიც ასევე განგრძობადა მათ
მანიპულირების საშუალებას მისცემდა და ამაზე ჩვენ არ უნდა წამოვგებულიყავით და თავშეკავებული
ვყოფილიყავით, რასაც წლების განმავლობაში ჩვენ წარმატებულად ვაკეთებდით. და ეს რომ არ ყოფილიყო,

რუსეთს ძალიან, რუსეთს ძალიან ბევრჯერ ჰქონდა უკვე გადადგმული ნაბიჯები საიმისოდ, რომ რომელიმე სუვერენული სახელმწიფო, ვინც თავშეკავებით არ იქნებოდა გამორჩეული, აუცილებლად გადადგამდა ადეკვატურ ნაბიჯებს იმ მომენტისთვის, იქნებოდა ეს წითელუბანი თუ შემდგომი ქმედებები, რაც განხორციელებული იყო რუსეთის მიერ. ამიტომ ამ მხრივ, იმ ფორმატის გაფრთხილებებთან მიმართებაში, რაც იმ ტიპის რუსეთის ქმედებებზე იყო მორგებული, საქართველოს ხელისუფლება თავშეკავებით და კონსტრუქციული მიდგომებით, სამშვიდობო გეგმების და ხედვების წარმოჩენის თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ყოველთვის გამოირჩეოდა საპირისპიროდ. და რუსეთის, და, ჰო, და ეს, შესაბამისად, ინტენსივობა ოთხი და ხუთის მერე პირდაპირი კავშირებიც იყო ცალკე თემა. ამიტომ 4, 3, 1 აგვისტოდან მოყოლებული ვითარება უკვე უკიდურესად დაძაბული იყო იმიტომ, რომ ეს სპონტანური აღარ იყო უკვე აქტები. ჩვენ უკვე, 3 აგვისტო იყო, როდესაც მთელი დიპლომატიური კორპუსი, თუ არ ვცდები, ჩვენ ადგილზე ჩაყვანილი გვყავდა იმისათვის, რომ ადგილზე ენახათ, რა მასშტაბის დაზიანებები იყო მიყენებული სოფლებისათვის. ინტენსიურობას რაც შეეხება, არამარტო 3,4, 5, არამედ 7, მით უფრო და ექვსიც, ბუნებრივია, და შემდგომი დღეები იყო, ფაქტიურად, ყოველდღიურ რეჟიმში დიპლომატიური კორპუსის საგარეო საქმეთა სამინისტროში კონსულტაციების წარმოება, მათთან უშუალოდ ჩვენი ელჩების მიერ დედაქალაქებში და ძალიან აქტიურად ფორუმების გამოყენება საერთაშორისო ფორმატებში. ამას ემატებოდა, ბუნებრივია, ჩემი პირადი არამარტო აქ დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობის, ჩემი მოადგილეების, დეპარტამენტების და ჩემი თანამშრომლების უშუალო კონსულტაციების თვალსაზრისით პირდაპირი კავშირები, სატელეფონო, ჩემს კოლეგებთან, ევროპის დედაქალაქებს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, როდესაც პირდაპირ ხდებოდა უშუალო დინამიკის მიწოდება. 7–ს თუ გავიხსენებთ, საღამოს მიწოდებული ინფორმაცია ჩვენგან იყო ძალიან ნათელი. 7–ის დინამიკა, ამაზე ბატონი თემური გაცილებით უფრო დეტალურად მოგიყვებათ კიდევ, მისი დამატებითი ძალისხმევა რაში მდგომარეობდა, რომ ადგილზე ბოლო ის გამოეყენებინა, პირდაპირი კონტაქტის დამყარების თვალსაზრისით. ის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, როცა ჩვენ პოლიტიკურად გააზრებულად, საკმაოდ მძიმე გადწყვეტილება იყო იმ ვითარებაში, როდესაც უკვე მსხვერპლი იყო ადგილზე და ჩვენი რეალური საჭიროება თავდაცვის ადგილზე არსებობდა მაგრამ, პოლიტიკურდ ბოლო შანსი იყო, და რელურადაც, რომ ჩვენ შემოგვეტრიალებინა გარკვეულწილად, თუკი რამ შესაძლებლობა გვქონდა, ვითარების იმდაგვარად განვითარება, როგორც ის განვითარდა. ამის შესახებ ბოლო ინფორმაცია ძალიან სრულად იყო მიწოდებული ჩვენი პარტნიორების, სადაც ნათლად იყო აღწერილი, რა მასშტაბის იყო უკვე დაბომბვა სოფლების, სადაც სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლიც იყო უკვე, და არამარტო სამოქალაქო მოსახლეობის. რა ძალისხმევა გასწია საქართველოს ხელისუფლებამ საიმისოდ რომ, რუსეთთან პირდაპირი კონტაქტების მეშვეობით როგორმე ჩაეცხრო ვითარება და უკან შემოეტრიალებინა პოზიტივისკენ ის ესკალაცია და სპირალი ესკალაციის, რაც უკვე, რასაც უკვე ადგილი ჰქონდა. რა მნიშვნელობის იყო და რა მოტივაცია გვქონდა ჩვენ ცეცხლის შეწყვეტის შემოღების თვალსაზრისით. ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდგომაც, რამდენად არ შეჩერებულა გარკვეულწილად ის თავდასხმები, რაც ჩვენს სოფლებზე იყო მომართული და რამდენად გრძელდებოდა ის ვითარება, და შემდგომში თუკი ვითარება ამდაგვარად განვითარდებოდა და თუკი გაფართოვდებოდა სამხედრო ინტერვენცია იმ მომენტისათვის, სამხედრო შენაერთების რუსეთის მხრიდან, რადგანაც უკვე ჩვენ დღის განმავლობაშიც საჯარო განცხადების სახითაც გვქონდა უკვე მიწოდებული საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და ადგილზე დიპლომატიური კორპუსისთვის, რომ სამხედრო ტექნიკა რუსეთის მხრიდან შემოყვანილი იყო. თუმცა, მასშტაბებზე სრულ ინფორმაციას ჩვენ მაშინ არ ვფლობდით და ამაზე ყურადღება არ იყო გამახვილებული. და თუკი ეს ტენდენცია გაძლიერდებოდა და უკვე სრული ინტერვენციის სახეს ... ჩვენ არამც თუ ვერ შევინარჩუნებდით ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს. ჩვენ მოგვიწევდა ჩვენი მოსახლეობის და ჩვენი საზოგადოების დაცვა. ამიტომ ეს იყო ბოლო ინფორმაცია, რაც მიწოდებული იყო ჩვენი პარტნიორებისათვის. სრულად იყო აღწერილი ვითარება და ამ მხრივაც ეს იყო ბოლო, ასე ვთქვათ, აი იმ ვითარებაში არსებული მოწოდება, თხოვნა, თუკი რამ შესაძლებლობა მათ ჰქონდათ, რომ ჩარეულიყვნენ ვითარებაში, მაშინ, როდესაც პირდაპირი კონტაქტებით რუსეთთან მიმართებაში ჩვენ ვეღარ ვახერხებდით სიტუაციის დესკალირებას. რამე გაკეთებულიყო საიმისოდ, რომ ვითარება შეჩერებულიყო და აღარ განვითარებულიყო იმ სცენარით, რა სცენარითაც განვითარდა.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, დინამიკა თებერვლიდან იყო უკვე ძალიან შემაშფოთებელი. როდესაც პრეზიდენტების შეხვედრა მოხდა, იქ უკვე პუტინმა ფაქტიურად, ძალიან ნათლად, ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია, თქვა, რომ უკიდურესად გაღიზიანებული იყო კოსოვოს მაგალითით, კოსოვოს მაგალითიდან გამომდინარე, მას ჰქონდა რუსულად, ასე ვთქვათ, "დამაშნიე ზაგატოვკი" ... ამიტომ მას იგი განახორციელებდა. უპასუხოდ იმას ყველაფერს, რაც კოსოვოში მოხდა, არ გააკეთებდა. მას უკიდურესად აღიზიანებდა ნატოს გაფართოების პესპექტივა, რადგან ამას... ამერიკის მოთავეობის, გარკვეულწილად, მისი თავდაცვითი პოტენციალის შეზღუდვის და განადგურების მცდელობად და, შესაბამისად, ამ კუთხით მის მიერ განხორციელებული ქმედებები ამ მხრივ პოზიტიური რომ არ იქნებოდა, ეს უკვე ფაქტიურად, იმ მომენტისათვის ნათელი იყო. ამის მერე ხდება ჩვენ მიერ კიდევ, კვლავ, ბუნებრივია, დამუშავება, მაინც, ინიციატივების, მშვიდობიანი გზით როგორ შეიძლება ყოფილიყო მოგვარებული ვითარება. ამის შემდგომ შედგა სამინისტროებს შორის, და მოადგილეების დონეზეც მუდმივად იყო პირდაპირი კონტაქტი შენარჩუნებული,

შედგა ივნისის დასაწყისში შეხვედრა, უკვე არაფორმალური, სანკტ–პეტერბურგში სამიტის ფარგლებში.

ეს პირველი შეხვედრა გარკვეულწილად პოზიტიური იყო პიროვნული კავშირების დამყარების კვალობაზე. ესე გვეგონა ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, იმ ტენდენციებიდან გამომდინარე, რაც, კონკრეტული არაფერი იმ მომენტში არ თქმულა საიმისოდ, რას გააკეთებდა რუსეთი პოზიტიურს იმისთვის, რომ პრობლემები მოეგვარებინა, მაგრამ შეხვედრის ინიცირების და მზაობის გამოხატვის თვალსაზრისით, რომ დეტალურად მომხდარიყო გაანალიზება და დალაპარაკება არსებულ ვითარებაზე, იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო იმ მომენტისათვის, რომ სურდა დიალოგის გამართვა რეალურად რუსეთს. თუმცა, ძალიან მალე უკვე ნათლად გამოიკვეთა, რომ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ეს არ შემდგარიყო.

რუსეთის შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, რას ჰქონდა ადგილი, ამაზე მე ეხლა სიღრმისეულ კომენტირებას არ გავაკეთებ, თუმცა, შესაძლოა, ძნელი მისახვედრი არც თქვენთვის იყოს და არც ჩვენი საზოგადოებისთვის, როგორ წარიმართა ვითარება.

ბოლო შეხვედრა უკვე, რაც პრეზიდენტებს შორის იყო, უკვე ყაზახეთში იყო. ამ მხრივ უკვე საკმაოდ ნეგატიური იმ კუთხით, რომ ფაქტიურად ამ შეხვედრაზე იყო უკვე ლაპარაკი და საკმაოდ ხისტი იყო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ უკან დახევას რუსეთი არ აპირებდა იმ მიმართულებიდან, რაზეც უკვე განხორციელება დაწყებული ჰქონდა პირდაპირი კავშირების დამყარების და ჯარების შემოყვანის თვალსაზრისით აფხაზეთში იმ მომენტისათვის და, შესაბამისად, ამ მხრივ ეს იყო იმ მომენტისათვის განვითარებული ვითარება. შემდგომში ჩვენგან ამ პერიოდის განმავლობაში, სანამ ივლისში მოხდებოდა ყაზახეთში შეხვედრა, დასაწყისში, ივნისში იყო უკვე ჩვენგან ეს შეთავაზება ბოლო, წერილობითი ხასიათის, და უკვე ეს პასუხიც, ნეგატიური, გარკვეულწილად, მოსული იყო. ამის შემდეგაც კონტაქტები არ შეწყვეტილა.

იყო მცდელობა იმისი, როდესაც ივლისიდან მოყოლებული, ვითარება რომ დაიძაბა და, მით უმეტეს, აგვისტოს დასაწყისიდან მოყოლებული, რა ხასიათიც მიიღო, პირდაპირი კავშირები იყო დღეში 4–5–ჯერ მაინც მინისტრის მოადგილესთან, დეპარტამენტის დირექტორატთან, რუსეთის საგარეო უწყებაში, სადაც პირდაპირი თხოვნა, მოთხოვნა იყო ჩვენი მხრიდან, გაეკეთებინათ რამე საიმისოდ, რომ ეს სპირალი ჩაეცხროთ.

საინტერესო არგუმენტები ჰქონდა რუსულ მხარეს იმ მომენტისათვის. იძახოდნენ, რომ რაღაც კონტროლიდან გამოვიდნენ, თითქოს, იმ მომენტისათვის სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები და ვეღარ ახერხებდნენ მათ გაჩერებას. ანუ, უარყოფა იმისი, რომ ისინი რაიმე ქმედებებს, იმ აგრესიულ ქმედებებს, რასაც ისინი იმ მომენტში ახორციელებდნენ, ადგილი არ ჰქონდა, ამას ადგილი რეალობაში იმ მომენტში არ ჰქონდა.

შემდგომში უკვე, როდესაც რეალურად უკვე ინტერვენცია დაიწყო რუსეთის მხრიდან, 7–ში რა ვითარებაც გაიმართა, ეს უკვე ჩვენს საზოგადოებას ნათლად მოეხსენება, პოპოვის ჩამოსვლის დღიდან მოყოლებული. ამდენად, ბატონი თემურ იაკობაშვილი ბოლომდე იყო მოტივირებული ჩასულიყო ცხინვალში, გაემართა იქ შეხვედრა და იქაც არ შედგა ბოლოს ეს შეხვედრა.

ცეცხლის შეწყვეტა, ჩვენი, გარკვეულწილად, იმაზეც კი იყო პასუხი, რომ კულახმეტოვისგან, რუსული სამშვიდობოების ხელმძღვანელისგან, იყო შემოთავაზება, რომ, ეგება, ცეცხლის შეწყვეტა რომ გამოცხადებულიყო, ამით მაინც ჩაგვეცხრო ვითარება და ჩვენ ამაზეც, ჩვენს პოლიტიკურ მოსაზრებებთან ერთად ერთობლიობაში ამ ნაბიჯზეც წავედით, თუმცა, ესეც შედეგიანი იმ მომენტში არ იყო, რადგან ძაან კარგად დაგეგმილი გეგმა იყო, როგორც ესეთი, როგორც ჩანს. და ლავროვზე დავამატებ, ჩვენ, როდესაც ვითარება იყო ძალიან გართულებული, იყო სამხედრო ინტერვენცია ფართომასშტაბიანი, ჩვენ პირდაპირ განვაცხადეთ ინიციატივა მყისიერად ასევე რუსეთის საგარეო უწყებაში, რომ ჩვენ გვინდოდა, პრეზიდენტები დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს, რომ, ეგება, ამ გზით მაინც გაჩერებულიყო ვითარება. ერთი დღის დუმილის შემდგომ მოგვივიდა ინფორმაცია, რომ რუსეთი გაღიზიანებული იყო ჩვენი ქმედებებით, თურმე, და მათ არ სურდათ დიალოგის დამყარება და საგარეო საქმეთა მინისტრები დაილაპარაკებდნენ. შემდგომ აღმოჩნდა, რომ არც საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე არ შედგებოდა ლაპარაკი და მხოლოდ მოადგილეების დონეზე, მაგრამ, სანამ მოადგილეების დონეზე, ფაქტიურად, საუბარი შედგებოდა, მე რამდენადაც ინფორმაცია მომაწოდეს ჩემმა კოლეგებმა, ბატონი შტაინმაიერის და ქალბატონი რაისის ძალისხმევით მოხერხდა ის, რომ ლავროვი აეძულებინათ, შემდგარიყო საუბარი ჩემთან. მას შემდეგ, რაც საუბარი შედგა ლავროვთან, ჩემთვის ძალიან ნათელი გახდა, რატომ არ სურდა მას ლაპარაკი და ნებისმიერ სხვა მაღალ წარმომადგენლებს.

თავმჯდომარე. რა თქვა, ქალბატონო ეკა, ლავროვმა თუ ეს სახელმწიფო საიდუმლოება არ არის.

ე.ტყეშელაშვილი. არა, არაფერ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა

მოლაპარაკება საიმისოდ, რომ საომარი მოქმედებები შეწყვეტილიყო და ამ მხრივ რეალურად ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმში დაგვეწყო ლაპარაკი საიმისოდ, რომ როგორ დაგვეშორიშორებინა ძალები და შეგვექცია უკან არსებული ვითარება. ლავროვის საუბარი იყო ძალიან ნათელი მაგალითი იმისი, რომ მას სურდა დროის მოგება, მას არ უნდოდა რეალურად ცეცხლის შეწყვეტაზე, ცეცხლის შეწყვეტის პირობებზე ლაპარაკი და მოლაპარაკება, რადგან მათ მიზანს არ წარმოადგენდა იმ მომენტისათვის არანაირი ცეცხლის შეწყვეტა. მათ ჰქონდათ თავისი მიზანი ტაქტიკურ–სტრატეგიული და მის განხორციელებამდე მას არანაირი სურვილი არ ჰქონდა ცეცხლის შეწყვეტაზე, ქართულ მხარეს, ყოველ შემთხვევაში, დალაპარაკებოდნენ. ისეთი წინაპირობები იყო წამოყენებული, მაგალითისათვის რომ გითხრათ, რომ აი, იმისათვის, რომ ცეცხლი შეწყვეტილიყო, ქართული საჯარისო ფორმირებები სრულად უნდა გამოსულიყვნენ ამა თუ იმ ტერიტორიებიდან, რაზეც კითხვა როდესაც ისმოდა ჩვენი მხრიდან, რომ ჩვენ თუ ამას გავაკეთებთ, თქვენთვის დადასტურების საფუძველი რა იქნება, რადგანაც რუსეთი ხშირად გამოირჩევა ხოლმე იმითი, რომ შეიძლება გააკეთო მოთხოვნისამებრ ან შეთანხმებისამებრ რამე და მერე კვლავ თქვას, რომ არ გაგიკეთებია და გააგრძელოს თავისი ქმედება, რასთან დაკავშირებითაც შეიძლება შეთანხმება იყოს დადებული. პირდაპირი პასუხი რუსეთის მხრიდან იყო –რასაც მეტყვიან ჩემი უსაფრთხოების სამსახურები, იმ ინფორმაციაზე დაფუძნებით შევაფასებ, შეთანხმება შესრულდა თუ არ შესრულდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ამის გარანტირების რეალური საშუალება არასოდეს არ იქნებოდა. ჩვენი წინადადება იყო რაიმე არაბიუროკრატიული, მარტივი ფორმულა შემდგარიყო ისეთი, რომელსაც ორივე მხარეს ექნებოდა ნდობა, რომ შეთანხმებას ორივე ვასრულებთ და ამ მხრივ უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე დაშორიშორება რეალურად მომხდარიყო, რაზეც მყარი უარი მივიღეთ ჩვენ რუსეთის მხარისგან და მხოლოდ რუსეთის უსაფრთხოების სამსახურებზე დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ჩვენი საქმიანობა, თითქოსდა, მოქმედებები სამომავლო. რაც ასევე ერთ–ერთი წინაპირობა იყო ისეთი ხელოვნური წარმოქმნილი, რომელიც აშკარად მიუთითებს, რომ თუ მოლაპარაკება არ გინდა, რომ რეალურად შედეგი დადო და მოლაპარაკება მიიღო, ისე წინაპირობებს აყენებ, რომ რეალურად მოლაპარაკება ვერ შედგეს და დრო მოიგო ამითი. ეს იყო ძალიან ცალსახა ხაზი, რომელიც ლავროვისგან ამ მოლაპარაკებების დროს შეინიშნებოდა. ამიტომ დიდად წარმატებული ჩვენი კონტაქტი შედეგის თვალსაზრისით, შემიძლია ვთქვა, რომ ამ კუთხით არ იყო.

ახლა რამე ხომ არ გამომრჩა კიდევ. ბუშის დაგვიანებული რეაქცია, მე ვფიქრობ, ერთ–ერთი, ძალიან ძნელია ზუსტად განჭვრიტო, რომ შეიძლება რა იყო საფუძველი ამა თუ იმ ტიპის განცხადების უცხო ქვეყნის წარმომადგენლის, მით უმეტეს, პრეზიდენტის მხრიდან. ერთ–ერთი, ჩემი აზრით, ის საბოლოო ჯამში რა მასშტაბითაც, რა ქმედებაც რუსეთმა განახორციელა, ჩემი აზრით, მაინც შოკისმომგვრელი იყო ყველასთვის. არამც თუ მაინც სერიოზულად შოკისმომგვრელი იყო, ამიტომ ინფორმაციის სრულად მიღების და, ასე ვთქვათ, გაანალიზების დრო გაცილებით უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა, უფრო სხვა მასშტაბის ვითარებაში, შესაძლოა, ამ ქვეყნებს ჰქონოდათ. ამიტომ, როგორც ჩანს, იგივე დასკვნა იმის თაობაზე, რომ ერთ–ერთ მთავარ მიზანს სამხედრო ინტერვენციის წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის დამხობა და, შესაბამისად, თბილისის რეალურად აღება რუსეთის სამხედრო შენაერთების მხრიდან, 13 აგვისტოსთვის გახდა აბსოლუტურად ნათელი. შესაძლოა, არ ვიცი, ჩემი ეს მოსაზრებაა, მე ამას დანამდვილებით ამერიკის მხრიდან ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ ის განცხადება, რაც იმ მომენტისთვის ბატონმა ბუშმა გააკეთა, ძალიან შემაკავებელი ფაქტორი აღმოჩნდა იმასთან მიმართებაში, რომ რეალურად პროგრესი დასრულების სახით ინტერვენციის მიზნის შესრულების თვალსაზრისით არ განხორციელებულიყო. ეს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმ პირობებში, როდესაც 12 აგვისტოს პრინციპული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ იყო უკვე მიღწეული რუსულ მხარესთან, საფრანგეთის ძალიან აქტიური და ბატონი სარკოზის ჩართულობის მეშვეობით, მაგრამ აქაც რუსეთმა გააჯანჯლა დრო საიმისოდ, რომ მერე ახალი წინაპირობა წამოაყენა და, თითქოს, ხელმოსაწერი უნდა ყოფილიყო ეს შეთანხმება, რაზეც ადრე ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა და ისიც 16 აგვისტოსთვის დასრულდა, ასე ვთქვათ, პროცესი ხელმოწერის ორივე მხრიდან ამ შეთანხმების.

. კითხვაზე, დაავიწყდა, ალბათ, ქალბატონ მინისტრს, ან დიპლომატიურად აუარა, ვთქვათ, გვერდი, ეს არის ქალბატონ რაისისა და ბატონი სააკაშვილის საუბრის დეტალები.

თავმჯდომარე. და ქალბატონო ეკა, დავამატებ კიდევ, აი იმ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, რატომ არ გადაიხედა, როცა ასეთი საფრთხეები იყო, რაც კითხვა დაგისვით და ...

ჩემი შეკითხვა, ბოლო პერიოდში პირდაპირი კავშირების რაიმე მცდელობა ხომ არ იყო.

ე. ტყეშელაშვილი. ბოლო კავშირები, ბოლო დროს ესე პირდაპირი კავშირები არ ყოფილა. ბოლო პერიოდში ჩვენ სურვილი გვქონდა და მზად ვიყავით საქმიანი კავშირები ჟენევის ფორმატში დაგვემყარებინა და რეალური მოლაპარაკება და დიალოგი. თუმცა, აქ რუსეთმა ყველაფერი ქნა იმისთვის, რომ დესტრუქციულად პირველი რაუნდი მოლაპარაკებების ჩაეშალა და ამ მხრივ კარგად გამოიყენა, როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მის მიერვე შექმნილი ერთეულების, ასე ვთქვათ, წარმომადგენლები. მაგრამ რაც შეეხება ქალბატონი

რაისის ვიზიტს, ეს პირველ ვიზიტს ვგულისხმობთ, ბუნებრივია, იმიტომ, რომ შემდგომში უკვე, ომის შემდგომაც იყო ქალბატონი რაისი საქართველოში. აქ ჩვენ ძალიან დეტალურად განვიხილეთ ის გეგმა და ხედვა, რაც იმ მომენტისათვის ჩვენ გაგვაჩნდა პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით, განვიხილეთ ის ზოგადი ხასიათის მაჩვენებლები ასევე, რაც სავარაუდოდ იმ მომენტისათვის უნდა ჰქონოდა გერმანული მხარის მიერ წარმოჩენილ ინიციატივებს, რადგანაც ის სრული სახით 12 ივლისისთვის მოგვეწოდა ჩვენ, როდესაც ბატონი ლუკასი ჩამოვიდა თბილისში. მაგრამ ძირითადად იყო განხილვა ძალიან სიღრმისეულად იმ ხედვის, რაც მე აღგიწერეთ ეკონომიკური ზონის შექმნის და გადაადგილების თვალსაზრისით, რუკით და ძალიან დეტალურად. ძალიან საინტერესოდ იყო აღქმული ქალბატონი რაისის მიერ. შეგასხენებთ, ეს ზუსტად ის პერიოდი იყო, როდესაც ძალიან აქტიურად მიდიოდა ჩვენ მიერ საქმიანობა და კონსულტაციები საიმისოდ, რომ მაქსიმალურად მოგვეხდინა პროცესების შეცვლა და ინტერნაციონალიზაცია ორივე რეგიონში სამშვიდობო პროცესების. გაფრთხილებას რაც შეეხება, ეს იგივე, გაფრთხილება რამდენად უნდა ეწოდოს ამას, არც ვიცი ჯეროვნად, რადგანაც ეს იყო ზოგადი ურთიერთგაგება, მე ვიტყოდი, ორივე მხარეს შორის საიმისოდ, და კიდევ ერთხელ, შესაძლოა, შეხსენება ამერიკული მხარის მხრიდან, რომ მოულოდნელი არ იქნებოდა არავისთვის, მათ შორის, ამერიკული მხარისთვის, რომ რუსეთი შეეცდებოდა, მანიპულირება მოეხდინა ადგილზე იმისთვის, რომ განგრძობოდათ პრობლემა, აქტივიზირებული შეენარჩუნებინა და, შესაბამისად, პროვოკაციები განეხორციელებინა და ამას ჩვენ თავშეკავებით უნდა შევხვედრილიყავით საიმისოდ, რომ ესკალირება ფართომასშტაბიანი პრობლემის არ მომხდარიყო. და ამ მხრივ, იგივე კომენტარი, რაც აქამდე გავაკეთე, აბსოლუტურად მიესადაგება ამ ტიპის გაფრთხილებას, შეხსენებას, რაც ზოგადად არამარტო ამ შეხვედრაზე იყო გაჟღერებული. ეს რაც ამას შეეხებოდა.

ერთი კონცეფციასთან დაკავშირებით იყო, თუ არ ვცდები, გიგა, ერთი შეხვედრა, შეკითხვა. წინარე პერიოდთან მიმართებაში მე გამიჭირდება, ზუსტი ინფორმაცია მოგაწოდოთ, შესაძლოა დავაზუსტო და მერე მოგაწოდოთ, ჩემი მხრიდან როგორი იყო დინამიკა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების. ამ წუთას მე ამ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა, იმ მომენტისათვის, როდესაც უკვე აშკარა გახდა, რა ტიპის ქმედებებზე იყო, ფაქტიურად, მზადმყოფი რუსეთის ფედერაცია, მე მოგახსენებთ, რომ იმ მომენტში იმდენად ოპერატიული რეაგირება იყო კოორდინაციის სახით საჭირო, რომ კონცეფციის დონეზე, შესაძლოა, გადახედვა ასეთი კონცეფტუალური წერილობითი ხასიათით, არა, არ მომხდარა, და შესაძლოა ეს იყო მიზეზი ამ შემთხვევაში.

და ერთი კითხვა, რაც გამომრჩა. მე რამდენადაც მახსოვს, ეხლა გადავხედე, 7-ში რატომ არ გაცხადდა ის, რომ, დავუშვათ, აგრესიას ჰქონდა ადგილი. რა ინფორმაციასაც ჩვენ ვფლობდით იმ მომენტისათვის დინამიკის პარალელურად, ერთი, რომ უკვე 7 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, როგორც უკვე აღვნიშნე, თავის ოფიციალურ განცხადებაშიც ძალიან ნათლად აღწერა ის, რომ როკის გვირაბიდან უკვე გვქონდა ინფორმაცია საიმისოდ, რომ სამხედრო ტექნიკა და შენაერთები შემოდიოდნენ. უბრალოდ, მასშტაბი არ გვქონდა ჩვენ მითითებული, რადგან ეს ინფორმაცია დასაზუსტებელი ინფორმაცია იყო და ამას, რაც დაუზუსტებელი ინფორმაცია იყო, ბუნებრივია, იმას ვერ დავეყრდნობოდით ჩვენს იმაში, მაგრამ, პრინციპული თვალსაზრისით შეფასება იყო აბსოლუტურად კორექტული გაკეთებული არსებული ვითარების. დიპლომატიურ კორპუსსაც მიეწოდა იმავდღესვე, დღის განმავლობაში ჩატარებულ შეხვედრებში. რაც შეეხება ოფიციალურ განცხადებას, რომ უკვე სახეზე გვქონდა 7-თვის დილიდან მოყოლებული აგრესია, ეს იქნებოდა უკვე ძალიან დიდი პოლიტიკური განცხადება, რა კუთხით, ჯერ კიდევ მაქსიმალურად ვცდილობდით ჩვენ, შემოტრიალება მომხდარიყო ვითარების საიმისოდ, რომ ჯერ კიდევ ამას უკვე ომის სტატუსი რუსეთთან არ შეეძინა პირდაპირი გაგებით, და კვლავ გვეცადა რუსეთთან პირდაპირი კონტაქტით, რომ საერთაშორისო ჩართულობის თვალსაზრისით, დაგვეცხრო ვითარება, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რომ ეს არ გადაზრდილიყო ფართომასშტაბიან რაიმე სამხედრო ინტერვენციაში საქართველოში. ამიტომ, პირდაპირი სახელწოდების თვალსაზრისით, რომ უკვე სახეზე იყო სამხედრო ინტერვენცია, შვიდშივე, დღის პირველ ნახევარში რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ამ მხრივ, მე ვთვლი, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და იმ ვითარებაში იმ მიზნებიდან გამომდინარე, რაც ჩვენ გვქონდა, მე ვთვლი, აბსოლუტურად კორექტული გადაწყვეტილება, რადგან თუკი რამ შესაძლებლობა იყო, რომ ჯერ კიდევ აგვეცილებინა თავიდან ვითარების იმ სცენარით განვითარება, რაც რუსეთმა საბოლოო ჯამში მოახერხა და განავითარა, თავისი დაგეგმილი გეგმის მიხედვით, ღირდა, ღირდა ნამდვილად ცდად, და ღირდა ნამდვილად მეოხებად, ასე ვთქვათ, ჩვენი მხრიდან.

თავმჯდომარე. ქალბატონო ეკა, ეხლა ეს შეკითხვა რომელსაც მე დავსვამ, ესეც საზოგადოებიდან მოდის, ჩემთვის ამ შეკითხვაზე პასუხი, ფაქტიურად, მიღებული არის. იმიტომ, რომ თქვენმა მოადგილემ, გიგა ბოკერიამ ოპოზიციის წარმომადგენლებს გააცნო ეს დოკუმენტები, ეს საზოგადოება სვამს ასეთ კითხვას, რატომ არ იყო საჯარო და ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები? ეს არის მედვედევი – სარკოზის 12 აგვისტოს შეთანხმება, ეხლა მედიაში კი გავიდა, მაგრამ საჯაროობაზეა საუბარი. ჩვენ, ოპოზიციამ ვნახეთ ეს, ამ შეთანხმების განმარტებები, საქართველოს პრეზიდენტის წერილი ცეცხლის განუახლებლობის შესახებ და საქართველოს პრეზიდენტის წერილი, რომელიც

მან პრეზიდენტ მედვედევს მისწერა აფხაზეთთან დაკავშირებით. თქვენ ამაზე ახსენეთ, ეს ამ კითხვაში და ამიტომ ვთქვი და რატომ არ მოხდა ამის საჯაროობა? საპარლამენტო ოპოზიციამ ამაზე მოისმინა და ჩვენ ამ დოკუმენტებს გავეცანით, მედიის საშუალებითაც გარკვეულ ფორმაში იყო, მაგრამ საუბარი არის ოფიციალურ დონეზე, ამის გახმაურების, როდესაც სიტუაცია დაიძაბა. ბატონ აკაკი მინაშვილს.

ა.მინაშვილი. ერთი საკითხი, ქალბატონო ეკა. რა ვითარებაა საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფთან დაკავშირებით? თუ არ ვცდები, ეს შტაინმაიერის იდეა იყო აგვისტოშივე და რატომ შეფერხდა ეს პროცესი, რა პოზიცია აქვს ქართულ სახელმწიფოს ამასთან დაკავშირებით, რა პოზიცია აქვს რუსეთს და როგორ მოხდება მოვლენების განვითარება? ჩატარდება თუ არა ეს საერთაშორისო გამოძიება.

დ.ლორთქიფანიძე. კიდევ ერთი შეკითხვა, ქალბატონო ეკა. ეს შეკითხვა უკვე დაისვა ბატონ გელა ბეჟუაშვილის წინაშე. თავს მოვალედ ვთვლი, რომ თქვენც დაგისვათ ეს შეკითხვა. საკითხი ეხება თქვენს მიერ წამოჭრილ უწყებათაშორის კოორდინაციის საკითხის მნიშვნელობას. მე ხელთ მიპყრია, ამ წუთას, საქართველოს მთავრობის დადგენილება 2005 წლის 16 ნოემბრის N 206, რომლითაც დამტკიცებულია თქვენდამი რწმუნებული უწყების დებულება და საკითხი ეხება თქვენდამი რწმუნებული უწყების ერთ–ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, კერძოდ, საერთაშორისო სამართლებრივ დეპარტამენტს, რომლის წინაშეც განსაზღვრულია ძირითადი ამოცანა. კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა უწყების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია, საქართველოს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების საერთო ზედამხედველობა, ანალიზი, მონიტორინგი და კონტროლი. ამასთან, მათი აღრიცხვა, სისტემატიზაცია და დედნების დაცვა–შენახვა.

კონკრეტულად საკითხი ეხება საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 13 ოქტომბერს რატიფიცირებულ გაეროს 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას სამოქალაქო თავდაცვის შესახებ. კერძოდ, 1977 წლის 8 ივნისის პირველი დამატებითი ოქმის თაობაზე, რომელიც შეეხება 15 ჰუმანიტარულ ამოცანას, რომელიც განსაზღვრული არის სამოქალაქო თავდაცვის სისტემის წინაშე. რა თქმა უნდა, სამოქალაქო თავდაცვის სისტემა არ არის თქვენი კომპეტენცია, თუმცა აღნიშნული კონვენციის ამოცანების შესრულებაზე კონტროლი, კოორდინირება, ანალიზი, საერთო ზედამხედველობა ევალებოდა საქართველოს საგარეო უწყებას.

მე მინდა დაგისვათ შეკითხვა, ხორციელდებოდა თუ არა აღნიშნული კონტროლი, ხედამხედველობა, მონიტორინგი და თუ არ ხორციელდებოდა, რა მიზეზით? აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ბატონმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრეროგატივა ეკუთვნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანუ კონტროლი აღნიშნული კონვენციის ამოცანების შესრულებაზე. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებაში ბატონ გელა ბეჟუაშვილს? გმადლობთ.

ლ.ვეფხვაძე. ჩემი პირველი კითხვა, ძალიან ისეთი, შეხსენება, უბრალოდ, იმ კითხვის, რომელიც მე წეღან ვთქვი და რომელზეც პასუხი ჯერ ვერ მივიღეთ. ეს არის, ვის დაუკავშირდა, კონკრეტული პირები რომ გვითხრათ, ბატონი საკაშვილი 7 აგვისტოს დღის განმავლობაში, კონკრეტული გვარების მიხედვით თუ შეგიძლიათ გვითხრათ? (ხმა ადგილიდან). ხო. ანუ, ეს კითხვა დავსვი, უბრალოდ, პასუხი ეტყობა გამოგრჩათ. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, კონკრეტულად, თუ გაქვთ ეს ინფორმაცია, კონკრეტულად, ვის ელაპარაკა, ვის დაუკავშირდა ბატონი საკაშვილი 7 აგვისტოს, იმ დღეს?

ეხლა მეორე კითხვა, რომელიც გამომდინარეა თქვენი საუბრიდან. საკმაოდ, როგორც მივიღეთ ინფორმაცია, 6 და 7 აგვისტოს ძალიან ეფექტურად მუშაობდა დიპლომატიური უწყება ანუ საგარეო საქმეთა სამინისტრო. თუმცა, ანუ იმასთან დაკავშირებით, როგორ მწვავდებოდა კონფლიქტი, თქვენ აწვდიდით ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებს, სხვა ქვეყნებს, ასე ვთქვათ, მაგრამ ბოლო პერიოდში უკვე რაღაც სტერეოტიპად ჩამოყალიბდა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის, ნუ, მათ შორის, ევროსაბჭოს და ევროპარლამენტის დადგენილებაში ხვდება ფრაზა, რომ ქართული მხარე არის დამწყები კონფლიქტის, ოღონდ რუსული მხარის პასუხი იყო არაპროპორციული.

დაახლოებით მსგავსი განცხადება გააკეთა 21 ოქტომბერს ბატონმა სარკოზიმაც. მან ჩამოთვალა, თუ გახსოვთ, გარკვეული პრინციპები და ერთ–ერთი იყო ეს. როგორ ფიქრობთ, თუ თქვენ მიაწოდეთ ეს ინფორმაცია ამ ორგანიზაციებს თავის დროზე, რატომ ხვდება ეს შეფასება, ეს სტერეოტიპი რატომ ყალიბდება საერთაშორისო საზოგადოებაში?

და მეორე. ბატონი სარკოზის გამოსვლაში ითქვა, რომ მან მიაღწია იმას, რომ სტატუს – კვო აღდგა კონფლიქტის ზონებში. რაღაც ასეთი ფრაზა იხმარა ბატონმა სარკოზიმ. თუ გქონდათ მცდელობა დაკავშირებოდით მას შემდეგ, რაც ეს განცხადება გააკეთა საფრანგეთის საგარეო უწყებას და გადაგემოწმებინათ რას გულისხმობდა ბატონი სარკოზი აი, ამ ცნებაში, როგორიც არის ფაქტობრივი სიტუაციის აღდგენა, სტატუს – კვოს აღდგენა,

რომელიც იყო კონფლიქტში. ანუ საუბარია იმაზე, ეს გარკვეულწილად მინიშნება ხომ არ იყო იმაზე, რომ შესრულდა ყველა პირობა იმ 6 – პუნქტიანი შეთანხმების, რომელიც თავის დროზე დაიდო.

ე.ტყეშელაშვილი. დავიწყოთ მედვედევ–სარკოზის გეგმის და ზოგადად მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში ის შეთანხმებები, რაც დაიდო და რამდენად პროცესი იყო გამჭვირვალე თუ არა.

თავისთავად ის ინფორმაცია და ის ტექსტები, რაც შეთანხმებებს შეეხებოდა და შეთანხმებები, რაშიც აისახებოდა, ჩვენი ვებ–გვერდის მეშვეობით ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია. გარდა იმისა, რომ თარგმანიც იყო უზრუნველყოფილი, გარკვეულწილად, ამის შესახებ სუმირებული ანალიზიც ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო.

მე მესმის, რომ შესაძლოა ვებ–გვერდით ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყოს, ამიტომ საჯარო კომენტარების სახით ამაზე პრესრელიზების სახითაც ინფორმაცია გაკეთდა. თუკი რამ სხვა მეთოდი უფრო მისაღები შეიძლება ყოფილიყო, შესაძლოა სამომავლოთაც ეს გათვალისწინებული იყოს, ხო, რამდენად ეს შეიძლება იყოს. ამიტომ ამ დოკუმენტებში არაფერი დასამალი ან ფარული არ ყოფილა და შესაბამისად, ამ სახით არც ყოფილა რაღაცნაირად კონფედენციალურობის საფარველქვეშ მოქცეული ესა თუ ის შეთანხმება.

შეთანხმების შინაარსი, ამ მხრივ, არის ძალიან საინტერესო და შესაბამისად, თუ როგორ აფასებენ მის შესრულება – არშესრულებას. შეთანხმებით არის რამოდენიმე მთავარი ასპექტი გათვალისწინებული.

ჯერ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანია განსხვავება მნიშვნელობის და სახის შეთანხმებებს შორის 12 აგვისტოსი და 8 სექტემბრის, ეგრეთ წოდებულის. 12 აგვისტო, ეს არის ძირეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლითაც მხარეებს შორის სამართლებრივი ჩარჩო ურთიერთვალდებულებების განისაზღვრება ომის შემდგომისეულ ვითარებაში, ხოლო 8 სექტემბრის შეთანხმება, ეს არის 12 აგვისტოს შეთანხმების იმპლემენტაციის დასაწყისის გაწერილი მოდალობა. ანუ, რა, როგორ, რა სახით და რა დროის მოცულობით უნდა, მოცულობაში უნდა განხორციელებულიყო პირველი ნაბიჯები მისი იმპლემენტაციის და არა მისი სრული დასრულება მოაზრებული არ არის იმ ნაბიჯების სახით, რაც 8 სექტემბრის შეთანხმებაში არის გათვლილი.

მთავარი, ერთ ერთი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ, ბუნებრივია, გარდა იმისა, რომ ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო და მხარეების დაშორიშორება მომხდარიყო, სრულად უნდა აღდგენილიყო ამ შეთანხმების მიხედვით ის მდგომარეობა, რაც 6 აგვისტოსთვის არსებობდა, ანუ ე. წ. სტატუს–კვო–ანტე, სამხედრო კონფლიქტის დაწყებამდე რაც არსებობდა.

მეორე, ასევე უნდა ყოფილიყო სრული შეუზღუდავი მიღწევადობა ჰუმანიტარული მისიებისთვის ან შემფასებლური მისიებისთვის ორივე რეგიონში, შესაბამისად, უნდა მომხდარიყო, ასევე, საერთაშორისო მექანიზმებით ჩანაცვლება რუსეთის შეიარაღებული ძალების, იმისთვის, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება მათ გაეკეთებინათ და ასევე უნდა დაწყებულიყო, ბუნებრივია, შესაბამისი საერთაშორისო მოლაპარაკებები უსაფრთხოების რეჟიმთან მიმართებაში ორივე რეგიონში, სამხრეთ ოსეთშიც და აფხაზეთშიც.

რუსეთის მხარის მიერ ძალიან ადრევე დაიწყო უკვე მანიპულირება შინაარსით ამ შეთანხმების, რამდენად, რას ნიშნავდა ესა თუ ის დებულება ამ შეთანხმების, რაზეც ფრანგული მხარე იძულებული გახდა, ავტორიტეტული ინტერპრეტაცია წერილობითი სახით დაედო კომუნიკეს სახით, თუ რას ნიშნავდა შესაბამისი სადაო დებულებები და თავის კომუნიკაციაში ის დაეყრდნო იმ შეთანხმებებს, რა შეთანხმებაც რეალურად მიღწეული იყო 12–ში არა საკუთარ ცალმხრივ ინტერპრეტაციას, როგორც მედიატორისას, მაგრამ ამანაც პრაქტიკაში არ მოგვიტანა ის, რომ რუსეთი ესეთი დიდი მზაობით შეხვდა პროცესს. ნუ, დაიწყო მისი იმპლემენტაცია, რამაც აუცილებელი გახადა უკვე, თავის მხრივ, 8 სექტემბრის შეთანხმების დადება საიმისოდ, რომ პროცესი მისი რეალიზების, რეალურად დაწყებულიყო.

ამ მხრივ, ევროპელების მიდგომა იყო ესეთი, რომ პირველი ეტაპი უნდა ყოფილიყო ის, რომ ჯარების გაყვანა იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც მოიაზრებოდა თვითონ კონფლიქტური რეგიონების მიღმა, იქიდან მომხადარიყო პირველ ეტაპზე გაყვანა მაგრამ, შემდგომში უნდა გაგრძელებულიყო აუცილებლად პროცესი ჯარების იმ მოცულობით და იმ სახით გაყვანით, რომელიც მიგვიყვანდა 6 აგვისტოს მდგომარეობამდე. და ეს ძალიან ცალსახად არის დაფიქსირებული, არაერთ კომენტარში, საჯარო კომენტარში და საჯარო შეხვედრებზე და ოფიციალურ შეხვედრებზეც, არაერთი ევროკავშირის წარმომადგენლის მიერ. მათ შორის, 1 სექტემბერსაც სამიტი როცა ჩატარდა ევროკავშირის ქვეყნების

მეთაურების, მას მერე საგარეო უწყების ხელმძღვანელების მიერ, მათ შორის, საფრაგნეთისასიც.

ამიტომ ის, რომ თავისთავად სტატუს–კვო იმ გაგებით, რა გაგებითაც ის ნაგულისხმევია 12 აგვისტოს შეთანხმებაში, რომ არ არის შესრულებული, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ეს არის ცალსახად აღნიშნული ვითარება, პრობლემა. ის, რომ მხოლოდ გარკვეულწილად არის მხოლოდ შესრულებული ამ მხრივ ვალდებულება ჯარების გაყვანის თვალსაზრისით რუსეთის მხრიდან და რომ ის სრულად უნდა იყოს დასრულებული.

ამაზე, მე, ამას დავამატებდი იმასაც, რომ ძალიან ნათლად ესმით ჩვენს პარტნიორებს პრობლემატურობა საკითხის ახალგორთან მიმართებაში, კოდორთან მიმართებაში, პერევთან მიმართებაში. ამიტომ ბოლო განცხადება შემიძლია მაგალითად მოვიყვანო, ბატონი კუშნერის, რომელიც დონორთა კონფერენციაზე ძალიან ნათლად გააკეთა მან. მან აღნიშნა, რომ ნაწილი ვალდებულებებისა, რუსეთს შესრულებული აქვს, თუმცა ძალიან სერიოზულ პრობლემად რჩება დროის უახლოეს მონაკვეთში ახალგორის პრობლემის გადაწყვეტა. პერევის პრობლემის გადაწყვეტა და აფხაზეთში შესაბამისი რეგიონის პრობლემის გადაწყვეტა, რომელშიც იგი კოდორს გულისხმობდა ყველა იმ კომუნიკაციიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენ აქამდე გვქონია. ამიტომ ის, რომ საფრანგეთს, როგორც ქვეყანას და მის წარმომადგენლებს, ნათლად ესმით, რომ სტატუს–კვო აღდგენილი არ არის. და ბოლო განცხადებით, აგერ დონორთა კონფერენციაზე, სრულად არის, 22 ოქტობერში აღნიშნული ის მიმართულება, რაც მისთვის მნიშვნელოვან წინამძღვარს წარმოადგენს მისი აქტიურობისთვის.

ამ მხრივ ეჭვის შეტანა მათ პოზიციაში მართებული არ იქნებოდა. ამიტომ გადამოწმობის საჭიროებასაც ამ კუთხით, არა მგონია რომ საჭიროებდეს, ისევე, როგორც სხვა პარტნიორების მხრიდანაც, რომლებიც, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც კმაყოფილებით აღნიშნავენ იმას, რომ, გარკვეულწილად, პირველი ნაწილი ვალდებულებების, რაღაც მოცულობით რუსეთმა შეასრულა. ყველა, იმავდროულად, აღნიშნავს იმას, რომ, როგორც ესეთი, შეთანხმება, სრულად შეთანხმებული არ არის და აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ შეთანხმება უნდა შესრულდეს ბოლომდე.

ამიტომ ის, რომ სატუს–კვო უნდა აღდგეს და ამ მხრივ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ბოლომდე იყოს მიყვანილი, ყველასთვის არის მნიშვნელოვანი საკითხი. ამას ემატება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ამასთან ერთად, გარდა იმისა, რომ ჰუმანიტარული მიღწევადობის თვალსაზრისით რუსეთი ყველა წინაპირობას უქმნის, მისიებს და არ არის ასე მატივი საქმე და ფაქტიურად დაკეტილი აქვს რეგიონები. დამკვირვებლებს რაც შეეხება. დამკვირვებლებს, რომლებიც იმ ვითარებაში, რა დროის მოცულობაშიც გადაწყვეტილება მიიღო ევროკავშირმა და არა მარტო გადაწყვეტილება მიიღო ადგილზე ჩამოეყვანა იმაზე მეტი დამკვირვებელი, ვიდრე თავისივე გადაწყვეტილებით, გადაწყვიტა რომ ჩამოეყვანა რაოდენობრივი თვალსაზრისით. აქაც მისი მიდგომა არის ძალიან ცალსახა, ბატონმა კუშნერმა ძალიან მყარად და ძალიან ნათლად განაცხადა დონორთა კონფერენციაზე, ასევე, უახლოესი, მომყავს, უბრალოდ მაგალითად, სადაც ის ნათლად იძახის, რომ ევროკავშირი არ შეეგუება იმას, რომ დამკვირვებლები იყვნენ ხელოვნურად შექმნილი საზღვრების დამცველები. დამკვირვებლების მისია არის ის, რომ მათ სრულად დააკვირდნენ ვითარებას კონფლიქტურ რეგიონებშიც და ევროკავშირი არ შეეგუება იმას, რომ მათ არ ჰქონდეთ შესაძლებლობა ამის გაკეთების. ამიტომ ეს არის ნათელი მიმართულება, რომელიც ასევე თანხვედრაშია იმ აზრთან, რაც საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია ერთ–ერთ აუცილებელ ნაბიჯად, რაც უნდა იყოს გადადგმული ვითარების სტაბილიზაციის და უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით. თუმცა არასაკმარისად, რადგან სამომავლოდ, ბუნებრივია, როდესაც პროცესის განვითარებაზე თუ ვილაპარაკებთ, პერსპექტივაში, ბუნებრივია სამშვიდობო ოპერაცია სხვა სახის უნდა იყოს და არა სადამკვირვებლო, იგი ეფექტური რომ იყოს ადგილზე.

ეს, რაც შეეხება ამ ნაწილს კითხვებისას. უწყებათაშორის კოორდინაციას რაც შეეხება. ამ მხრივ სამართლებრივ დეპარტამენტს სამინისტროსი, სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი ამოცანა არის, პირველი საერთაშორისო სამართლებრივი უზრუნველყოფა მოახდინოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული დიპლომატიური აქტივობის, ისევე, როგორც ქვეყნის მიერ წარმოებული საერთაშორისო სამართლებრივად მნიშვნელოვანი აქტივობების. ამ მხრივ ის უშუალო კოორდინაციაში იმყოფება იუსტიციის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტთან, რომელთან თანამშრომლობის მეშვეობით ახორციელებს ძალიან მნიშვნელოვან სამართლებრივ საქმიანობას, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით გაწეულ იმ მიმართულებაში, რომელსაც იგივე საერთაშორისო სასამართლოებში საქმიანობა ხდება.

და ბოლო ასპექტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებულ ჩვენ აპლიკაციას შეეხება ჰააგაში სასამართლოსთან მიმართებაში. რაც შეეხება კონვენციებზე შესრულების კონტროლს და მექანიზმს. მე თვითონ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი გახლავართ, ამიტომ საერთაშორისო სამართლებრივად ნებისმიერ კონვენციას აქვს განსაზღვრული უმეტესწილად ის მექანიზმი, რა მექანიზმითაც თუკი საჭიროა ეროვნული ორგანოს განსაზღვრა მისი ინპლემენტაციაზე

პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, კონვეციის ეფექტურობის მიზნიდან გამომდინარე, ხშირად ხდება ხოლმე ესეთი ორგანოს განსაზღვრა. ამიტომ როდესაც ესეთი ტიპის ორგანოა, არის განსაზღვრული, მას ეკისრება პირველადი ვალდებულება, საიმისოდ, რომ კონვეციის შესრულებაზე მოახდინოს კოორდინირება.

არის სხვა მეთოდებიც, როდესაც იმდენად ფართოა სპექტრი ამა თუ იმ კონვენციის საქმიანობის, როდესაც სხვადასხვა უწყებათაშორისი გზით ხდება ხოლმე კოორდინირებულად ამა თუ იმ კონვეციის იმპლემენტაციაზე თვალყურის მიდევნება. მერწმუნეთ, იმ ოდენობის საერთაშორისო კონვეციების ან კონვენციის მონაწილე, საბედნიეროდ, საქართველო არის დღეის მდგომარეობით, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და არა მარტო თუკი მათი სრულადი იმპლემენტაციის კვალობაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი მისი იმპლემენტაციის მაკოორდინირებელი და კონტროლიორი, ასე ვთქვათ, იქნებოდა, მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტრო ზეუწყებად ჩამოყალიბდებოდა ამ სახელმწიფოში და მას ექნებოდა ისეთი მაკონტროლირებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციები, რომელიც არც უშიშროების საბჭოს ექნებოდა უშიშროების კუთხით, არც პრემიერ–მინისტრს ექნებოდა ეკონომიკური აქტივობის თვალსაზრისით, არც ომბუცმენს ექნებოდა ადამიანის უფლებების მონიტორინგის თვალსაზრისით, არც იუსტიციის სამინისტროს, იგივე პენიტენციალურ სისტემაში და არამარტო ამიტომ, ეს არის ის მითითება, რომელიც შესაძლოა, ჩემი აზრით, კოორდინირების და იმის თვალსაზრისით გადასახედიც კი იყოს, რამდენად ეს არის პრეროგატივა, ზოგადად, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი დეპარტამენტის ფართომასშტაბიანი კოორდინაციის ან კონტროლის ასეთად წარმოების. თუმცა რეალური საქმიანობის თვალსაზრისით კონკრეტულ კონვენციასთან მიმართებაში თუ გადავამოწმებთ, სფეროდან გამომდინარე მე გადასამოწმებელი მაქვს, ნამდვილად, როგორ არის კონვენციაშივე, როგორ არის გათვალისწინებული და ჩვენგან რატიფიკაციის დროს ვინ არის დასახელებული, რომელი ორგანო მაკოორდინირებლად იმპლემენტაციზე. ეს არის გადამოწმებადი ინფორმაცია, პრობლემა არ არის. მე ეხლა ამ კუთხით რაიმეს დაზუსტება, უფრო სწორედ მტკიცება გამიჭირდება, კონკრეტულად, რა არის ამ კონკრეტულ კონვენციაში მითითებული. ამიტომ ამაზე მეტი პასუხის გაცემა ამ ვითარებაში, ნამდვილად არ შემიძლია და ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ გეტყვით, შინაარსობრივი სახის პრობლემა საიმისოდ, რომ სამართლებრივი დეპარტამენტი საქმიანობას თუკი ბოლომდე არ ახორციელებდა, ვერ ვხედავ იმ თვალსაზრისით, რომ არც ვთვლი, რომ ჯეროვანი ფუნქცია იქნებოდა ამ დეპარტამენტისთვის ასეთი ტიპის მაკონტროლებელი ფუნქციების მინიჭება, ზოგადად. იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, იმ საერთაშორისო კონვენციების სპექტრი, რაც, რის მონაწილესაც საქართველო წარმოადგენს, იმდენად მრავალმხრივი და ინტენსიურია, ზეუწყება იქნება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამის მაკონტროლირებელი და მაკოორდინირებელი რომ იყოს იმპლემენტაციის თვალსაზრისით, სიღრმისეული თვალსაზრისით, მით უფრო...

————————დავაზუსტებდი მე ამას, იმიტომ, რომ აქ რატოა საუბარი ამ კონვენციაზე და რატოა მოყვანილი დებულებები. იმიტომ, რომ ფაქტიურად სამოქალაქო თავცდაცვას ეხება ეს კონვენცია. დღეს რაც შეეხება სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებით, აქ ძალიან ბევრი კითხვებია დასმული იგივე საზოგადოების მხრიდან. რა თქმა უნდა, თქვენ სწორი ბრძანდებით, საგარეო საქმეთა უწყებას არ ეხება ეგ საკითხი, ამაში ორი აზრი არ არის. აქ საუბარი არის, რომ ის კონვენცია, რომელსაც ჩვენ მივუერთდით და ჩვენ ვალდებული ვართ ის 15 პუნქტი დავიცვათ. რაც შეეხება სამოქალაქო თავდაცვის იმას და იქ სხვა უწყების პრეროგატივაა. მაგრამ, როდესაც სხვა უწყება არ ახორციელებს ასეთ ქმედებებს, კონკრეტულად, დეპარტამენტი ვალდებული არის დებულებიდან, რომელიც მთავრობის სხდომაზე ბატონი ნოღაიდელის ხელმოწერითაა დამტკიცებული, რომ კოორდინირება გაეკეთებინა. აი, ამაზე ამიტომ იყო ეს შეკითხვა დასმული.

111————————აქვე მინდა შევავსო აღნიშნული საკითი, როცა საქმე ეხება მომატებულ საფრთხეებს, როცა ასევე მეორე სტრუქტურული ქვედანაყოფის არსებობს თქვენდამი რწმუნებულ უწყებაში, ეს გახლავთ უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი, რომელსაც განსაზღვრული აქვს ძირითად ამოცანად ახალ საფრთხეებთან და გამოწვევებთან დაკავშირებულ გარემოებეთა ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. ეს აბსოლუტურად ცვლის თქვენდამი წარმოდგენილ დებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა კონვენციასთან მიმართებაში კონტროლს ვერ დააწესებს საგარეო უწყება, რომ არ გადაიქცეს ზესამინისტროდ. აქ არის კონკრეტულად საუბარი იმაზე, რომ საფრთხეები იყო მომატებული. აქედან გამომდინარე, ერთადერთი კონვენციაა სამოქალაქო თავდაცვის კონვენცია. აღნიშნულ თემასთან მიმართებაში სხვა კონვენციასთან საქართველო მიერთებული არ არის. საჭირო იყო მოძიება, საჭირო იყო ანალიზი, კონტროლი და საერთო ზედამხედველობის გაწევა ისევე, როგორც ეს არის დებულებით განსაზღვრული, ქალბატონო ეკა.

ე.ტყეშელაშვილი. მე მესმის თქვენი შეკითხვის აზრი, მაგრამ ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით ამ შეფასებაში და ძალიან მყარად ვერ დაგეთანხმებით. ჯერ ერთი, რაც შეეხება უსაფრთხოების, ახალი საფრთხეების და ევროინტეგრაციის ..... ინტეგრაციის შესახებ დეპარტამენტს, ის საქმიანობის სფერო, რაც ამ დეპარტამენტისთვის არის განსაზღვრული და ის ანალიტიკური მუშაობაც რაც ამ დეპარტამენტში ხდება გარდა

ოპერატიულისა, ძალიან ნათლად არის ასახული ზოგადად იმ საქმიანობაში, რასაც სამინისტრო აწარმოებს. და იმ ზოგად კოორდინაციაში ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით და რეკომენდაციების შემუშავების თვალსაზრისით, რასაც სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესი ჰქვია კოორდინირებული სახით იმ ფორმატში, რასაც სახელმწიფო იყენებს უშიშროების საბჭოს სახით. ამიტომ ამ დეპარტამენტის წვლილი და მოღვაწეობა ამ კუთხით ძალიან ნათელია, რომ თავისი წვლილი, ბუნებრივია, ამ მხრივ შეაქვს. რაც შეეხება ზოგადად კონვენციების იმპლემენტაციას და კონვენციების იმპლემენტაციაზე კონტროლის დაწესებას და მაკოორდინირებელი ფუნქციის თავის თავზე აღებას ასეთი ტიპის დეპარტამენტის მხრიდან, რომელსაც სამართლებრივი, საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი ჰქვია. და ამ მხრივ თუკი ფუნქცია ფუნქციაა, მაშინ ესეც არ არის სწორი არგუმენტი, რომ რომელიმე კონვენცია ამოვარჩიოთ და იმასთან მიმართებაში უნდა გააკეთოს და რომელიმე – არა. მაგალითად, რატომ არა ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაო კონვენცია, სიტყვაზე. რატომ არა სხვა ნებისმიერი კონვენცია. ამიტომ ვიძახი, ზოგადად ეს ფუნქცია არის არამართებული ფუნქცია ამ დეპარტამენტისთვის. და თუკი 2005 წლიდან არის შემორჩენილი დეპარტამენტში ესეთი დებულება და ფუნქცია მისთვის არასწორია ფუნქციურად და არარეალისტური და არასასურველიც, ამიტომ შესაძლოა უკეთესი მეთოდი იყოს მისი ამ ფუნქციისგან გათავისუფლება ..... ასე ვთქვათ, თუკი მას ასეთი გააჩნია, ვიდრე ამ ფუნქციით მისი დატვირთვა.

რაც შეეხება ურთიერთკონტროლს ....

თქვენი ნებართვით, ამ კითხვას მთავრობის თავმჯდომარეს, პრემიერ–მინისტრს დავუსვამთ....

ე.ტეშელაშვილი. კი, ბატონო.

იმიტომ, რომ მთავრობა ....

ე.ტყეშელაშვილი. და ორი შეკითხვა იყო კიდევ, რომელზეც მინდა რომ პასუხი გავცე. ერთი საგამოძიებო კომისიას, და ამასთან ბმაშია, გარკვეულწილად, თქვენი შეკითხვაც კონფლიქტის დაწყების, ასე ვთქვათ, ბრალეულობის თვალსაზრისით, რამდენადაც კითხვა ასეთ ფორმულირებას შეიცავდა. ერთი, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პროცესი ყოველთვის არის ძალიან დინამიური და ..... განმავლობაში კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის წარმოჩენა ხდება ხოლმე. მაგალითად, ის ინფორმაცია, რაც ჩვენ გაგვაჩნდა 7 აგვისტოს ადრეული დილისთვის სატელეფონო მოსმენების კვალობაზე იმ ტექნიკის შემოყვანასთან მიმართებაში, რომელიც ხდებოდა რუსეთის მხრიდან, რაც ჩვენს განცხადებაშიც ასახული იყო, საგარეო საქმეთა სამინისტროსი, კონკრეტული მტკიცება, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მოგვიანებით იქნა მოძიებული, იმიტომ, რომ პერედისლოკაცია მოხდა იმ სამსახურების, რომლებიც რეალურად ახორციელებდნენ ინფორმაციის ამდაგვარად მოპოვებას. დაახლოებით 6 ათასი ფაილის გავლა იყო საჭირო, რომ ისევ აღმოგვეჩინა ის არსებულ ვითარებაში. ამიტომ არის მტკიცებულებები, რომლებიც პერიოდის გასვლის განმავლობაში კიდევ და კიდევ უფრო შეემატა, ისევე, როგორც ის მარგალიტები, რომელიც თვითონ რუსეთის ცენზურასაც კი გამოეპარა და ინტერვიუების სახით, რაც ოფიციალურ პუბლიკაციებში გაჟღერდა რუსების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ უფრო ადრე, ვიდრე 7 აგვისტომდე მოყოლებული და ესეც , მოგეხსენებათ, რა ინფორმაციები იყო. ამიტომ, ეს პროცესი ჯერჯერობით მიმდინარე პროცესია.

რაც შეეხება შეფასებას. ასეთი, რომ ქართველებმა დაიწყეს ომი, მაგრამ მერე რუსები არაპროპორციულნი იყვნენ თავიანთ პასუხში, ასეთი ცალსახა რაიმე მოსაზრება არ არსებობს. არც ისეთი პირდაპირი ფორმულირება არსებობს, რომ აი, დაწყება–არდაწყების კვალობაზე. არის, შესაძლოა, გარკვეული კითხვები, რამდენად იმ მომენტისათვის ადეკვატური იყო თუ არ იყო ამ ტიპის რეაქცია ქართული მხარის მიერ, მაგრამ ამაზე ჩვენ, გარდა იმ მტკიცებულებებისა, რაც მიწოდებული გვაქვს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, ჩვენ აბსოლუტურად ღია ვართ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიისთვისაც.

ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ სიღრმისეული ანალიზი ყველა იმ მონაცემის, რაც არსებობს და არამარტო აგვისტოში, ბუნებრივია, ნებისმიერმა კომისიამ, რომელიც შედგება ამ მიზნით, მისი მანდატი მომცველი უნდა იყოს იმ მიზეზების და იმ პერიოდის, რამაც მიგვიყვანა იმ პერიოდამდე, რასაც უკვე აგვისტოს სამხედრო ინტერვენცია ჰქვია და აუცილებლად თავის თავში უნდა მოიცვას სიღრმისეული კვლევა ეთნიკური წმენდის, რაც განხორციელდა არა მარტო ეხლა, არამედ 90–იან წლებშიც რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ის, რომ 90–იან წლებში უპასუხოდ დარჩა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან იმ მოცულობის ეთნიკური წმენდა, რაც მაშინ განხორციელდა, გარკვეულწილად, მიზეზი დღევანდელი ეთნიკური წმენდისაც იყო იმის კვალობაზე, რომ გათვლა რუსეთის მხარეს რეალურად ჰქონდა, რომ ეხლაც შესაძლოა ადეკვატური პასუხის გარეშე ჩავლილიყო ასეთი ქმედება. და არასოდეს არ იკარგება ხოლმე ასეთი ქმედებები თავისი შემდგომი პოტენციური ზეგავლენის თვალსაზრისით. რაც 90–იან წლებში მოხდა, ესეც უნდა იყოს ძალიან სერიოზული კომპონენტი საგამოძიებო ქმედების. ის ფართომასშტაბიანი ადამიანის უფლებების დარღვევები ან, რასაც სამართლებრივ ენაზე ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჰქვია, ეთნიკური წმენდა, ეს აუცილებლად უნდა იყოს

გამოკვლეული, ისევე, როგორც ომის დანაშაულები, რადგან ის, თუ როგორ ახორციელებდა სამხედრო მოქმედებებს რუსეთი, პირდაპირ ჯდება ომის დანაშაულების დეფინიციაში. და, გარდა ამისა ის, რაც დღეს ხდება ამ რეგიონებში, ჟენევის მე–4 კონვენციის მიხედვით ცალსახად არის რუსეთი ოკუპანტი. არა მარტო ეს არის ჩვენი დეფინიცია, არ არის მარტო, და ჩვენი პოლიტიკური ხედვა, რას წარმოადგენს დღეს რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიაზე. ჟენევის მე–4 კონვენციის მიხედვით, ცალსახად ოკუპანტია და ოკუპანტის საჯარისო ფორმირებები დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ორივე რეგიონში. შესაბამისად, თავის ნეგატივთან ერთად მას თავისი ვალდებულებებიც სდევს საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ კონვენციის მონაწილე რუსეთი არის. ის, თუ როგორ უნდა დაიცვას უფლებები და წესრიგი იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის ფლობს ოკუპაციის სახით, ამიტომ, ის, თუ რაც ხდება დღეს ორივე რეგიონში, სამხრეთ ოსეთში რა ხდება, ახალგორში რა ხდება კიდევ კვლავ იმ დარჩენილი მცირე მოცულობის ქართული მოსახლეობის მიმართ, რაც იქ ადგილზე არის, ეს აბსოლუტურად მე, იმ უწესრიგობის თვალსაზრისით, რასაც ადგილი აქვს რეგიონშიც და იქიდან პერიოდულად გადმომავალ ...ბანდფორმირებების საქმიანობასთან მიმართებაში, არის სრულად პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციის. ამიტომ კომისია, რომელიც შეიქმნება, მან ეს მოქმედებებიც თავის თავში უნდა მოიცვას და დღევანდელი ვითარებაც უნდა შეაფასოს, ბუნებრივია. ჩვენ არამარტო მაშინ ვიყავით მზად საპასუხოდ, როდესაც ბატონმა შტაინმაიერმა გააცხადა, განაცხადა ეს იდეა, ჩვენ მანამდეც, ქალბატონი კანცლერი გერმანიის როცა იყო ჩამოსული, მაშინვე განაცხადა უკვე, 17 ივლისი იყო, თუ არ ვცდები, 16-17, როდესაც პრეზიდენტმა მაშინაც განაცხადა უკვე თავისი სურვილი იმისთვის, რომ საერთაშორისო საგამოძიებო კომისია საამისოდ შექმნილიყო. მხარე, რომელიც არ არის დარწმუნებული თავის სიმართლეში, ასეთ ღია და სენსიტიური ინფორმაციის ღიაობაზე არასოდეს არ იქნება ღია, მიუკერძოებელი საერთაშორისო კომისიის მიმართ. ამიტომ, ჩვენ ის სურვილი და ღიაობის მზაობა რაც გვქონდა, დღესაც იგივე სიმძლავრით გვაქვს და როდესაც ეს კომისია შედგება, ეს უკვე უშუალოდ მის ფორმირებაში ჩვენ მონაწილეობას, ბუნებრივია, ვერ მივიღებთ. ჩვენ ვიქნებით მხარე, რომელმაც უნდა ითანამშრომლოს მასთან, ეს უკვე ჩვენ ევროპელ კოლეგებზეა დამოკიდებული, რა ეფექტურობით შეძლებენ ისინი კომისიის დაკომპლექტებას, ასე ვთქვათ, და უკვე მუშაობაში გაშვებას.

რაც შეეხება პრეზიდენტის აქტივობასაც, მაშინ იყო შეკითხვა, მე მგონი, გამომრჩა პასუხის გაცემა, პრეზიდენტი, შეიძლება თამამად ითქვას, ეს ვითარების ესკალაციიდან მოყოლებული, მსოფლიოს ფაქტიურად ყველა ლიდერს გამუდმებით აწვდიდა ინფორმაციას, გამუდმებით ესაუბრებოდა, გამუდმებით ცდილობდა მათი აზრის მობიზილებას საიმისოდ, რომ იმ სცენარის რეალობაში, რომლის რეალობაც ჩვენ გვჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო, ზოგადად ინტერვენციის თვალსაზრისით რუსეთის მხრიდან, მათთვისაც აღსაქმელი რეალობა და სცენარი ყოფილიყო. და ამ მხრივ, იგი მუდმივად ჩართული იყო ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით საიმისოდ, რომ სრული ინფორმაცია ჰქონოდათ მის კოლეგებს და მის პარტნიორებს აქ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. მე ამაზე სრულად ვფლობ ინფორმაციას, რადგან ჩვენი უწყების მეშვეობით ხდებოდა, ბუნებრივია, ამ კონტაქტების დამყარება და შეთანხმებების მიღწევა მყისიერად რომ ჩატარებულიყო საუბრები, შემდგარიყო, ამიტომ, მე ასე ძალიან თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აი ეს ასე იყო.

თავმჯდომარე. თუ შეკითხვები არის კიდევ. ქალბატონო ეკა, ქალბატონო ეკა, რამე დასამატებელი ხომ არა გაქვთ თქვენ. ვთქვათ, კითხვა, რომელიც არ დაისვა. ეს ერთი, და კიდევ მეორე, მინდა გთხოვოთ, რომ როგორც თქვენ საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, ის წერილი, რომელიც გაგზავნილი იყო პრეზიდენტის მიერ, რომ კომისიას მოგვაწოდოთ, ოქმში რომ ჩაიწეროს. ჰოდა, პასუხი ეს რომ იყოს დასკვნებში ასახული და ახლა ის შეთანხმებები, რაც არის გაფორმებული, ვებგვერდზე არის და, მე მგონი, არ გვჭირდება მაგის გამოგზავნა, ამას ავტომატურად ამოვიტანთ იქიდან და პრობლემას არ წარმოადგენს. თუ რამეს დამატება გსურთ, თუ არადა, კომისიას თქვენს მიმართ შეკითხვები არა აქვს.

ე. ტყეშელაშვილი. მე მგონი, მეტი არაფერი, ძაან ძნელია ესეთი დიდი ინფორმაციული მოცულობის იმის, ყველაფრის აკუმულირებლად გახსენება და თქვენდამი მოტანა. ამიტომ კომისიის მუშაობის მსვლელობაში თუკი რამ დამატებითი შეკითხვები გექნებათ ან ინფორმაცია იქნება თქვენთვის საჭირო, ჩვენ მზად ვართ, ბუნებრივია, განგრძობადად ვითანამშრომლოთ თქვენთან და ამ მხრივ სრული იმედი ამისი შეიძლება, ბუნებრივია, გქქონდეთ. წერილების ასლებს მე დაგიტოვებთ, სხვა დოკუმენტები შემდგომში, თუ რამ ინტერესი თქვენგან იქნება, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და ყოველთვის მზად ვიქნებით ...

თავმჯდომარე. დიდი მადლობა მობრძანებისათვის...

ერთი დამაზუსტებელი კითხვა, ეს წერილები საჯაროა? ანუ შეიძლება ვებგვერდზე გამოიკიდოს?

ე. ტყეშელაშვილი. ამაში საიდუმლო ამ კუთხით არაფერი არ არის, ბუნებრივია, როცა მოლაპარაკებების პროცესი ცოცხალია და დინამიური, მაშინ ამის გასაჯარისოობა არ ხდება, რადგანაც შედეგს ახლა, ორიენტირებულია გინდა რომ მოლაპარაკება შედეგიანი იყოს, მაგრამ დღეის მდგომარეობით უკვე...

თავმჯდომარე. დიდი მადლობა, ქალბატონო ეკა, მობრძანებისათვის, დიდი მადლობა თქვენს მოადგილეებს და მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ რამე საკითხები წამოიჭრა და დამჭირდა რაღაც საბუთები, ჩვენ თქვენ მოგმართავთ. დიდი მადლობა.

ე. ტყეშელაშვილი. გმადლობთ.